ლელო

№ 75
(11 532)

25 – 27 სექტემბერი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ...

გაიმართა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომლის გადაწყვეტილებით ფედერაციის არჩევნები ჩატარდება მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს. იმსჯელეს აგრეთვე ახალი ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე, თუმცა თარიღი საბოლოოდ არ დაუდგენიათ. აღმასკომის წევრთა თხოვნით საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ აღმასკომის უახლოეს სხდომაზე.

ფრაიბურგი – შალკე.

მუქ მაისურშია ლევან კობიაშვილი

6

ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

ჩელსი – მიდლსბრო

5

გავშვთა ფეხბურთი

ვ. პატრიცია

ედდარ მალხაზიშვილის ფოტო.

პაზრიცია თბილისში იმარჯვებს

ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა V ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი — „ქართუ ბანკისა" და თბილისის ღია პირველობა. ჩვენებმა, როგორც ვიუწყებოდით, ფინალამდე ვერ მიაღწიეს. გადამწყვეტ პაექრობაში ავსტრიელმა ვ. პატრიციამ სძლია მ. კონდრატიევას და ტურნირის გამარჯვებული გახდა.

დღეს

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გაიმართება საპატიო წოდებების მინიჭებისა და მთავრობის ჯილდოებზე სპორტის მუშაკთა წარდგენის კომისიის მორიგი სხდომა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის ლერი ხაბელოვის ხელმძღვანელობით.

თარიღი

დაბადების დღეს ვულოცავთ სპორტის ზამთრის სახეობებში ოლიმპიური თამაშების მონაწილეს *ზურაბ ჯიჯიშვილს.*

* * *

27 სექტემბერი ფეხბურთში საქართველოდან პირველი ოლიმპიური ჩემპიონის *გელა კეტაშვილის* დაბადების დღეა. ვულოცავთ!

გაზეთის დაბეჭდვის წინ:

ფეხბურთი ● ეროვნული ჩემპიონატები
ჩეხეთი: სიგმა – ოპავა 3-1
დანია: ესბიერგი – ორჰუსი 4-1
ფინეთი: ჰიკი – როვანიემი 1-1
შვედეთი: მალმიო – ჰეკენი 2-2
იორებრო – ჰამარბი 0-3
იორგრიტე – იურგორდენი 1-1
ჰალმსტადი – ტრელებორგი 5-2

● დავიდსინი რგვლივ სკანდალი არ ცხრება. „იუვენტუსის" ამ ფეხბურთელმა „ლეჩესთან" მატჩში, გასულ შაბათს, მეტოქის მცველს წიხლი ჩაარტყა, რაც მსაჯმა ვერ შენიშნა, მაგრამ ტელეკამერამ კარგად დააფიქსირა. დღეს, 25 სექტემბერს, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისია ამ ინციდენტს განიხილავს.

დედე

● ბრაზილიელმა მცველმა დედემ კიდევ ორი წლით გააგრძელა კონტრაქტი დორტმუნდის „ბორუსიასთან".

● გუშინ ჩოგბურთელ ქალთა ასოციაციამ გამოაქვეყნა VTA-ს ახალი რეიტინგი. ათეულში ცვლილება არ მომხდარა. კვლავ ლიდერია მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) – 5256.

● დასრულდა დიდი საჩოგბურთო ტურნირი იაპონიაში (კობე). ვაუთა ფინალში ჩიან პენ ლიუნმა 4:0 (11:4, 11:3, 11:7, 11:6) მოუგო იუ სე ხიუკს. ქალთა ფინალში გაიმარჯვა ვან ნანმა, რომელმაც 4:2 (7:11, 11:7, 6:11, 11:6, 11:9, 11:4) სძლია კიმ კენს.

ალფრედო დი სტეფანო:

გმადლობთ, მოხუცო!

7

სამძიმარი ლონდონიდან

დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლები შეგვძრა დიდი ქართველი ფეხბურთელის, მსოფლიო საფეხბურთო სამყაროს ღირსეული წარმომადგენლის, უბრწყინვალესი პიროვნების დავით ყიფიანის ტრაგიკულმა სიკვდილმა. მთელ ქართველ ხალხთან ერთად ვგლოვობთ ქვეყნის ღირსეული შვილის უდროოდ დაკარგვის გამო.

დავით ყიფიანმა მსოფლიოს გააცნო არა მხოლოდ ეროვნული ფეხბურთის ხელოვნებამდე აყვანილი ოსტატობა, არამედ ქართველი ხალხის რაინდული ბუნება. დავით ყიფიანის საფეხბურთო ხელოვნებას კარგად იცნობენ დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში, სხვა ქვეყნებში. ასეთ ფეხბურთელებს მსოფლიო საფეხბურთო სამყარო არასდროს დაივიწყებს.

ნება გვიბოძეთ „ლელოს" საშუალებით გამოვხატოთ ჩვენი ღრმა მწუხარება და გადასცეთ ჩვენი სამძიმარი დავით ყიფიანის ოჯახს, სრულიად საქართველოს. დავით ყიფიანი ხომ მთელმა საქართველომ დაკარგა.

თემურ მამაცაშვილი,
საქართველოს ელჩი დიდ ბრიტანეთსა
და ჩრდილოეთ ირლანდიაში

გასულ შაბათს ქართველმა ხალხმა უძანასკნელ გზაზე გააცილა დავით ყიფიანი. ეს გზა ეროვნულ სტადიონზეც გადიოდა, სადაც ეულად ბრწყინავდა ეს ფეხბურთელი ფაღალი ოსტატობით და სიხარულს ანიჭებდა ვილიონობით გულშემატკივარს!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

SALT LAKE 2002

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 11 თვე დარჩა

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 140 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

პლუს ახალი შევსება

ეს ნორჩები მომავალი ხელბურთელები არიან

ამას წინათ, ვწერდით, რომ თბილისის ექსპერიმენტულ კომპლექსურ-სპორტულმა სკოლამ, რომელიც 10 წლის წინათ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიასთან შეიქმნა და ამჟამად მეურვეობას თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური უწევს, ხელბურთის თამაშით დაინტერესებულ პერსპექტიულ მოზარდთა ერთი ჯგუფი ჯ. ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლას გადასცა.

ახალი სასწავლო წლის დადგომასთან დაკავშირებით ექსპერიმენტულმა სკოლამ მოსწავლეთა ახალი ნაკადის მიღება დაიწყო. გავა რამდენიმე წელიწადი და ეს სკოლა კვლავ დაულოცავს გზას მოზარდებს სპორტის იმ სახეობაში დასაოსტატებლად, სადაც მათ რეკომენდაციას მისცემენ გამოცდილი სპეციალისტები.

სურათებზე: ეს სწორედ ის ჯგუფია, რომელთაგან ქართული ხელბურთის მომავალი ოსტატები დაიზრდებიან; ექსპერიმენტულ სკოლაში ახალი ნაკადის შერჩევის პროცესი.



ექსპერიმენტული სკოლისათვის ნორჩების შერჩევის პროცესი

„ლაგუნა-ვერეს“ ქვეყნის ბიუჯეტში სოლიდური თანხა შეაქვს

სპორტი და ეკონომიკა! ჩვენში ამ თემაზე არ მსჯელობენ. უფრო იმიტომ, რომ სათქმელი არაფერია. სპორტული მოძრაობა მთლიანობაში სახელმწიფო კმაყოფაზეა და არც იმის პერსპექტივა ჩანს, რომ ახლო მომავალში საქმე სასიკეთოდ შემობრუნდება. მხოლოდ ორად ორი ოაზისია საქართველოში — „ლაგუნა-ვერე“ და ფეხბურთის ფედერაცია, რომლებსაც სოლიდური შენატანები შეაქვთ ქვეყნის ბიუჯეტში თავისი საქმიანობით. დღეს „ლელო“ საილუსტრაციოდ გთავაზობთ ბოლო წლებში სააქციო საზოგადოება „ლაგუნა-ვერეს“ მიერ შემოსავლებისა და აქედან ბიუჯეტში შეტანილი თანხების ცხრილს. ამასთან, დავძენთ, რომ ბოლო წლებში, ხალხის გაღატაკების ფონზე, საგრძნობლად იკლო აუზზე შემოსავლებმა. ახლა საქმე იქამდეც მიდის, რომ ელექტროენერგიისა და გაზის მოსალოდნელი გაძვირების გამო, კომპლექსს სესხის აღება მოუწევს, რათა მომზადებული შეხვდეს ზამთარს და ქვეყანაში ეს ერთადერთი საცურაო კომპლექსიც არ გამოგვეცალოს ხელიდან.

სააქციო საზოგადოება სპორტული კომპლექსი „ლაგუნა-ვერეს“ მიერ ბიუჯეტში გადახდილი თანხები

გადასახადების დასახელება	1996 წელი	1997 წელი	1998 წელი	1999 წელი	2000 წელი	სულ ამ ხანებში 1996-2000 წ.	2001 წლის 6 თვე	სულ ამ ხანებში 1996-2001 წ.
დ ღ გ	43 426	114 517	142 400	126 500	125 898	552 740	73 697	626 437
ქონების გადასახადი	2 280	4 100	12 800	14 122	17 114	47 416	8 646	56 062
მოგების გადასახადი	–	21 549	6 206	5 748	–	88 503	–	88 503
საშემოსავლო შეგარა	15 583	32 394	35 651	33 068	20 936	137 623	14 025	151 648
რეკლამის გადასახადი	–	1 000	576	4	54	2 122	2	2 124
სამეწარმეო გადასახადი	–	3 862	6 968	6 299	8 248	20 397	1 831	22 228
ჯ ა მ ი :	61 289	177 442	204 601	185 736	164 737	793 805	98 201	892 006
სოცდაზღვევა	24 281	44 800	49 780	41 372	37 959	198 112	27 172	225 284
სამედიცინო დაზღვევა	3 409	5 000	5 524	5 482	4 960	24 375	3 777	28 152
დასაქმების ფონდი	852	1 700	1 842	1 400	1345	7 139	944	8 083
ჯ ა მ ი :	28 542	51 500	57 146	48 254	44 254	219 620	31 894	251 514
სულ გადახდილია ბიუჯეტში	89 831	226 942	261 747	233 990	209 001	1 153 605	130 094	1 283 699

ფოთელები აპროტესტებენ

„ლელოს“ რედაქციას ფოთიდან დაუკავშირდა იქაური ნორჩ მოჭადრაკეთა მწვრთნელი დავით კოდუა. ჩვენი გაზეთის 73-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილთან დაკავშირებით — „ნერვი, რომელიც არ უნდა მოკვდეს“ (ავტორი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში სულიკო მეგრელიშვილი). წერილში ჩამოთვლილი იყო ქალაქები და რაიონები, სადაც სასურველ დონეზე არ დგას ჭადრაკი.

ფოთიდან მოწოდებული ინფორმაციით, ფოთის ამ კონტექსტში ავტორის მიერ მოხსენიება, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია, რადგან ქობულეთში გამართულ ასპარეზობაში, რომლის ანალიზიცაა ზემოხსენებულ წერილში, ფოთელები მონაწილეობდნენ და ერთმა მეოთხე ადგილიც დაიკავა თავის ასაკში. ამასთან, ფოთელებს ყოველთვის შეაქვთ თავიანთი წვლილი მოზარდთა შეჯიბრებების ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. კერძოდ, როგორც ყოველთვის ხდება, ამჯერადაც ფოთელებმა 25 საჭადრაკო დაფა და საათები ჩაიტანეს ქობულეთში.

სარეკორდო ასპარეზობა

კვირას, 23 სექტემბერს, ძიუდოს საერთაშორისო ტურნირის გახსნისას, თბილისის „ქარიშხალას“ სპორტულ დარბაზში (თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №6) გაიმართა ზვიად მახარაძის მეორე საგინესო-სარეკორდო ასპარეზობა მაჯებზე ტანის აზიდვის მსოფლიო რეკორდის გასაუმჯობესებლად.

ასპარეზობის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური, საქართველოს მსოფლიოს მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობი კავშირი — კლუბი „გიორგი“. სპონსორი: აგრობანკი.

ასპარეზობას უძღვებოდა ორგანიზატორთა ნებით არჩეული კომისია, სამედიცინო კომისია და ალტერნატიული კომისია.

ზვიად მახარაძემ შეძლო ძველი რეკორდის (80) გაუმჯობესება და მან მაჯებზე 86-ჯერ აიწია. ეს მისი მეორე რეკორდია, რომელიც შევა გინესის წიგნში. 2000 წლის 28 ოქტომბერს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და მასობრივი სპორტის მოამაგეთა ხელშეწყობით, ბათუმის ჭიდაობის დარბაზში ორივე ხელის ცერა თითებით 101-ჯერ აიზიდა. მისი სამომავლო სარეკორდო განაცხადია: 1. ცალ ხელზე და სამ თითზე 120-ჯერ აზიდვა; 2. ცალ თითზე და ცალ ხელზე 20-ჯერ აზიდვა.

ზვიად მახარაძე

? შეკითხვა „ლელოს“

შეკითხვა: რამდენი წელი უნდა იცხოვროს სპორტსმენმა უცხო ქვეყანაში, რომ ოლიმპიურ თამაშებში დაცვას მისი სახელი? (ზ. ნებიერიძე, ზესტაფონი).

პასუხი: მთავარი ცხოვრება არ არის, მთავარია, მოქალაქეობა. მოქალაქეობის მიღების წესი კი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. თუმცა, სპორტსმენებს, რომელიც მათთვის სასურველია, პრობლემებს არ უქმნიან და ყველაფერი „დაჩქარებული ტემპით“ გვარდება. სხვა საქმეა სოკ-ის პოზიცია, რომელიც სამი წლის ნატურალიზაციას მოითხოვს. თუმცა უშვებენ გამონაკლისს. სპორტის ამა თუ იმ სახეობაში საერთაშორისო ფედერაციებსაც თავისი მოთხოვნები აქვს. მაგალითად, ცურვის საერთაშორისო ფედერაციის (ფინა) წესდებაში ჩაწერილია, რომ „ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის სხვა ქვეყნის სახელით, აუცილებელია ამ ქვეყნის მოქალაქეობის არანაკლებ ერთი წელი“.

ქიზიყის რინგზე, ღია ცის ქვეშ

დაბა წნორში ჩატარდა საქართველოს თასის გათამაშება კრივში. ასეთი რანგის ტურნირი პირველად მოეწყო კახეთის სპორტკომპლექს „ათლეტში“.

შეჯიბრების ინიციატორი იყო კლუბის პრეზიდენტი, სპორტის დიდი ენთუზიასტი ნოდარ კუტიბაშვილი. რინგი იდგა ღია ცის ქვეშ, შეხვედრები ტარდებოდა საღამოს საათებში — თბილისის, ქუთაისის, თელავის, რუსთავის, სიღნაღის, წნორის, გორის, ჭიათურის და ვარიანის მოკრივეების მონაწილეობით.

ფინალური ორთაბრძოლების წინ, დუმილით პატივი მიაგეს ცნობილი ქუთაისელი მოკრივის აკაკი კაკაურიძის ხსოვნას, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ტრაგიკულად დაიღუპა.

შეჯიბრებას უამრავი მაყურებელი დაესწრო, მათ შორის საქართველოს პარლამენტის წევრი ვაჟა ადამია და პროფესიონალი მოკრივე გიორგი კანდელაკი. საქართველოს თასის მფლობელები ვარიანელი მოკრივეები გახდნენ. ***წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები მოიპოვეს: 48 კგ.*** შალვა ჯომარდაშვილმა, ***51 კგ.*** გუგული აბაზაშვილმა, ***54 კგ.*** რამაზ ბებნაძემ (სამივე — ვარიანი), ***57 კგ.*** სარხაზ ამირხანოვმა (რუსთავი), ***60 კგ.*** ვალერი ხვედელიანმა, ***63,5 კგ.*** პაატა ვარდუაშვილმა, ***67 კგ.*** მალხაზ ბერკაცაშვილმა (სამივე — ვარიანი), ***71 კგ.*** ანატოლი ქავთარაძემ (ჭიათურა). ***75 კგ.*** მინდია ნოზაძემ, ***81 კგ.*** გოგა აბულაძემ (ორივე — ვარიანი), ***91 კგ.*** გიორგი მაღრაძემ (ბორჯომი), + ***91 კგ.*** აბო თანდაშვილმა (სიღნაღი).

საგულისხმოა, რომ ჩემპიონთა შორის კვლავ არ არიან თბილისელი მოკრივეები. თბილისის საქალაქო სამსახურმა მეტი უნდა იზრუნოს ძლიერი მოკრივეების დაფინანსებასა და შეჯიბრებებზე მივლინებისათვის. საუკეთესო მოკრივედ აღიარეს ანატოლი ქავთარაძე (მწვრთნელი — მამა, ბაღრი ქავთარაძე).

დავით ქავთარაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
მსოფლიო სამოყვარულო კრივის ასოციაციის რეფერი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

ღია წერილი

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო ედუარდ!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ჩვეულებისამებრ აგრძელებს თქვენს ინფორმირებას სფფ-ს მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ.

მიგვაჩნია, რომ ადრინდელმა წერილებმა ვერ მიაღწიეს მთავარ მიზანს – ფართო საზოგადოებას მიეღო ინფორმაცია სფფ-ს საქმიანობის შესახებ, რადგან იგი ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ სახელმწიფო აპარატის, კანცელარიისა და სამინისტროების ვიწრო წრისთვის.

ბოლო ხანებში მასმედიაში გახშირდა შემთხვევები, როცა ქართულ ფეხბურთზე ვრცელდება ზედაპირული და პოპულისტური ხასიათის ინფორმაციები, რომლებიც არ ასახავენ ფედერაციაში საქმის ნამდვილ ვითარებას. ჩვენ ამას ვუკავშირებთ სფფ-ს პრეზიდენტის 2002 წლის არჩევნების კამპანიას. ყველაფერი ეს, რბილად რომ ვთქვათ, მათ სინდისზეა, ვინც არაპროფესიული მიდგომით და ყველა ხერხით, მათ შორის აკრძალულითაც, მიზანმიმართულად ცდილობს სფფ-ს დისკრედიტაციას.

საქმე იქამდეც მიდის, რომ სფფ-ს და საფეხბურთო კლუბების საქმიანობას ერთმანეთში აიგივებენ, მაშინ, როცა ფედერაცია საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, საფეხბურთო კლუბების აბსოლუტური უმრავლესობა კი არის ან საააქციო საზოგადოება ან შპს და თავიანთი საფინანსო-სამეურნეო მოღვაწეობისას ხელმძღვანელობენ შესაბამისი კანონმდებლობით.

რაც შეეხება კლუბების სატრანსფერო პოლიტიკას (ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვა), ეს ნორმალური ფინანსური საქმიანობაა ყველა საფეხბურთო კლუბისთვის მთელს მსოფლიოში და პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხოლოდ მათ პრეზიდენტებს. **ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვასთან სფფ-ს არავითარი კავშირი არა აქვს და ფიფას წესდებით არც შეიძლება ჰქონდეს.**

ჩვენ ვიმედოვნებთ, უფრო მეტიც, მოვუწოდებთ საფეხბურთო კლუბების პრეზიდენტებს, მთავარ მწვრთნელებს, რეგიონული ფედერაციების პრეზიდენტებს, პრესის საშუალებით აუხსნან საზოგადოებას თავიანთი პრობლემები, თუ რა ტიტანური ძალისხმევით ინახავენ კლუბებს – ფეხბურთელთა, მწვრთნელთა, მომსახურე პერსონალის ხელფასები და პრემიები, გუნდის ეკიპირება, სატრანსპორტო ხარჯები, განსაკუთრებით კი ევროტურნირებში მონაწილეობისას, როცა ერთი საზღვარგარეთული გასვლა 100 ათასამდე აშშ დოლარი ჯდება. კლუბების მიერ გაცემული ხელფასებით ფეხბურთელები და ფეხბურთში მოღვაწე პირები თავიანთ ოჯახებს ინახავენ. დაბოლოს, კლუბების ხელმძღვანელები ალბათ შეახსენებენ ყველას ძველ ანდაზას: „წაღი მეწალემ შეკეროს, პური კი მეპურემ გამოაცხოსო“.

მთლიანობაში საფეხბურთო მეურნეობაში სადღეისოდ ასეთი ვითარებაა:

– სფფ-ს მიერ რეგიონული ფედერაციების დაფინანსება, რაც პირველად 2000 წლიდან ხორციელდება, შენარჩუნებულია. მეტიც, 2001 წლიდან რეგიონულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის გუნდების საწევრო თანხა რჩება ტურნირის ჩამტარებელი ფედერაციის განკარგულებაში. ეს უკვე ახალი ეტაპია მათ საქმიანობაში. თუ ადრე ისინი პრაქტიკულად მხოლოდ ქაღალდზე არსებობდნენ, ახლა აქტიურად არიან ჩართული ფეხბურთის განვითარების საქმეში.

შეიძლება ითქვას, რომ შიდა შეჯიბრებების ჩატარების რეორგანიზაცია პრაქტიკულად დასრულდა. შექმნილია მწყობრი პირამიდა – ბავშვთა შორის, გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელების მ. მესხის, ს. მეტრეველის, გ. ჩოხელის სახელობის ტურნირები; იუნიორთა შორის ორ ასაკობრივ ჯგუფში ბავშვთა ლიგა, რომელთაც ბ. პაიჭაძის და ა. ღოღობერიძის სახელები ეწოდათ; რეგიონული ჩემპიონატები; პირველი და უმაღლესი ლიგის ჩემპიონატი; ქვეყნის თასი. იუნიორთა ყველა შეჯიბრების ფინალურ ეტაპებს და ბავშვთა ლიგის 28 გუნდს მთლიანად სფფ აფინანსებს.

დარწმუნებული ვართ, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში, რეორგანიზაცია სასურველ შედეგს მოიტანს. ამის პირველი ნიშნები უკვე შეიმჩნევა – მატჩების დაძაბულობა, შედეგიანობისა და მაყურებელთა დასწრების მატება აშკარაა.

დიდი ყურადღება ეთმობა ფეხბურთის სფეროში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებას. ბოლო ორი წლის განმავლობაში თბილისში ჩატარდა უეფას 6 პროგრეს-კურსი, რომლებსაც უხელმძღვანელეს ევროპის წამყვანმა სპეციალისტებმა. პროგრამა მოიცავდა წვრთნის, მსაჯობის და ინსპექტირების, სამედიცინო მომსახურებისა და ადმინისტრირების აქტუალურ საკითხებს.

ჩვენი თანამშრომლები უცხოეთში მონაწილეობდნენ ფიფას და უეფას სემინარებში.

ევროპის ხელმძღვანელ სტრუქტურებში აღმავლობით ვითარდება სფფ-ს თანამშრომელთა ინტეგრაცია. სფფ-ს ოთხი თანამშრომელი შევიდა უეფას დირექტორთა, ინსპექტორთა, მედიაოფიცერთა და ექსპერტთა ჯგუფებში.

ჩვენი არბიტრები, რომლებიც მსაჯობენ საერთაშორისო შეჯიბრებებს, მუდმივად იმსახურებენ მაღალ შეფასებებს.

მთლიანობაში ჩვენს ზემდგომ ორგანოებთან, ფიფასთან და უეფასთან დამკვიდრდა საქმიანი და კონსტრუქციული ურთიერთობა. პრაქტიკულად არ არსებობს რაიმე გადაუჭრელი საკითხი. ფიფასა და უეფას ხელმძღვანელები ჩვენ მთლიანად გვენდობიან, რისი ნათელი დადასტურებაა 1999 წლის ზაფხულში უეფას მოყვარულ ფეხბურთელთა, იმავე წლის შემოდგომაზე კი 16 წლამდე ფეხბურთელთა შესარჩევი ტურნირების თბილისში ჩატარება. მიმდინარე წლის ოქტომბერში თბილისში გაიმართება კიდევ ერთი დიდი შეჯიბრება – ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი 17 წლამდე ფეხბურთელებს შორის. ყველაფერმა ამან უნდა გამოიწვიოს ჩვენი ქვეყნისადმი პატივისცემა.

2 მილიონი აშშ დოლარის გრანტის გამოყოფა ეროვნული ნაკრებისათვის სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის მოსაწყობად, ნაკრებებისთვის ავტოტრანსპორტის შესაძენად და სფფ-ს ოფისის ასაშენებლად, მეტყველებს ჩვენს ავტორიტეტზე ფიფასა და უეფაში.

ოფისის მშენებლობა და სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის პროექტირება დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს, ავტოტრანსპორტი შეძენილია და ექსპლუატაციაშია.

მშენებლობაში ჩართულია ეროვნული ფირმები, გამოიყენება ადგილობრივი სამშენებლო მასალები, რაც იმას ნიშნავს, რომ ფიფა-უეფას „გრანტის“ ფული საქართველოს ეკონომიკაზე მუშაობს.

აქვე გვსურს გამოვხატოთ თქვენდამი, ქალაქის მერის ბატონ ვანო ზოდელავასადმი და რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელ ბატონ აკაკი ჩხაიძისადმი ჩვენი მადლიერება, სფფ-ს ოფისისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით. მხოლოდ თქვენი პირადი ჩარევით გახდა შესაძლებელი ეს საკითხი დადებითად გადაწყვეტილიყო.

სულ უფრო მეტმა მაღალი რანგის ხელმძღვანელებმა დაიწყეს ფეხბურთისკენ შემობრუნება. ამის ნათელი დასტურია ევროპული დონის „ლოკომოტივის“ ახალი სტადიონი; განათების ახალი სისტემების მონტაჟი ეროვნულ და ქუთაისის სტადიონზე; სტადიონების რეკონსტრუქცია ბათუმში, ბოლნისში, ქობულეთში. კაპიტალურად შეკეთდა „დინამოს“ დიღმის და ქუთაისის საფეხბურთო ბაზები; ჩატარდა სარემონტო სამუშაოები სხვა ქალაქების სტადიონებზე.

დიდი მადლობა მათ ფეხბურთის გულწრფელი სიყვარულისათვის.

თქვენი პირადი მოწონება დაიმსახურა საქართველოს ტელე-რადიო კორპორაციისა და სფფ-ს ერთობლივმა მუშაობამ, რამაც შესაძლებელი გახადა ქართველ მაყურებელს პირველად პირდაპირი ჩვენებით ეხილა ტელეეკრანზე ფეხბურთში 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის 8 შესარჩევი მატჩი საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის მონაწილეობით.

სფფ-მ 1999-2001 წლებში 200 ათას დოლარზე მეტი ინვესტიციები მოიზიდა. ამ თანხით ეროვნულმა ნაკრებმა შეძლო ჩაეტარებინა ამხანაგური საერთაშორისო მატჩები ისრაელის, უკრაინის, ირანის და გერმანიის ეროვნულ და საკლუბო გუნდებთან.

სამწუხაროდ, უპირველესად კი საფეხბურთო საზოგადოებისათვის, ეროვნულმა ნაკრებმა ვერ შეძლო შეესრულებინა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის ამოცანა. ჩვენი ხვედრი გაიზიარეს ისეთმა აღიარებულმა საფეხბურთო ქვეყნებმა, როგორებიცაა ჰოლანდია, იუგოსლავია, შოტლანდია, ნორვეგია და უნგრეთი. ფლეი-ოფის შემდეგ, ამ რიცხვს შეუერთდება მსოფლიო საფეხბურთო ელიტის რამდენიმე ქვეყანა.

ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ გულშემატკივრებისათვის ეს არ არის ნუგეში, მაგრამ ნაბიჯი წინ უთუოდ გადაიდგა. – ჩვენ გვყავს კონკურენტუნარიანი ნაკრები, რომელიც ნებისმიერ ტურნირში იბრძოლებს ყველაზე მაღალი ადგილისათვის, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ ვერ ვიტყვით ჩვენს კლუბებზე.

ცალკე გაცნობებთ სფფ-ს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ. 1998 წლის ოქტომბერში, სფფ-ს სათავეში ჩვენი მოსვლის დროს ფეხბურთის ფედერაციას გააჩნდა დავალიანება სახელმწიფოს და სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირის მიმართ, რაც საერთო ჯამში 600 ათას ლარს შეადგენდა.

დღეს ფიზიკურ პირებთან ყველა ვალი დაფარულია. დარჩა მხოლოდ ქვეყნის ბიუჯეტთან საჯარიმო სანქციების უმნიშვნელო ნაწილი, რომლებსაც ჩვენ აუცილებლად გადავიხდით. ამასთან ერთად, ეს ნიშნავს, რომ სფფ-მ ქვეყნის ბიუჯეტში შეიტანა ერთ მილიონამდე ლარი და წლიური პენსიის ოდენობის შესაბამისი ერთდროული შემწეობა გასცა ვეტერან ფეხბურთელებზე. დახმარება წლეულს უფრო გაიზარდა – საქართველოს ეროვნული ნაკრების მიერ ჩატარებული ყოველი მატჩის შემოსავლიდან 10 პროცენტი ქართული ფეხბურთის ვეტერანთა ფონდში ირიცხება.

ვფიქრობთ, ქვეყანაში არცთუ ბევრია ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც არაფერს იღებს ბიუჯეტიდან და პირიქით, შეაქვს მასში ერთ მილიონამდე ლარი და დახმარებას უწევს სოციალურად დაუცველ ფეხბურთის ვეტერანებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 2001 წელს ორჯერ შეგვამოწმა უეფას აუდიტმა და სფფ-ს მუშაობის არც ერთი მიმართულებით არ ყოფილა რაიმე სერიოზული შენიშვნა.

ბატონო პრეზიდენტო! სფფ იტოვებს უფლებას პერიოდულად მოგაწოდოთ თქვენ ინფორმაცია ქართულ ფეხბურთში გაწეული მუშაობისა და პრობლემების შესახებ.

ამასთან, დაბეჯითებით და უმორჩილესად გთხოვთ, გამონახოთ შესაძლებლობა და თქვენთვის ხელსაყრელ დროს მიიღოთ სფფ-ს და საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელები ერთად, რომ უფრო დეტალურად იქნეს განხილული ჩვენს ქვეყანაში ქართული ფეხბურთის განვითარების საკითხები, რათა ჩვენმა ფეხბურთმა მისთვის კუთვნილი, ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო საფეხბურთო ოჯახში.

პატივისცემით,

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

მ. ჟორდანია
პრეზიდენტი

ვ. ჩოლარია
გენერალური მდივანი

ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

კალათბურთი

ქალთა ევროპის ჩემპიონატი

საფრანგეთში დასრულდა ქალთა ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და რუსეთის ნაკრებები, დაძაბულ შეხვედრაში იმარჯვეს მასპინძლებმა და მოიპოვეს ევროპის ჩემპიონის ტიტული.

ფინალი: საფრანგეთი – რუსეთი 73:68

მატჩი III ადგილისათვის: ესპანეთი – ლიტვა 89:74

საბოლოოდ ჩემპიონატში ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: I – საფრანგეთი, II – რუსეთი, III – ესპანეთი, IV – ლიტვა, V – იუგოსლავია, VI – პოლონეთი, VII – უნგრეთი, VIII – სლოვაკეთი, IX – ჩეხეთი, X – საბერძნეთი, XI – უკრაინა, XII – რუმინეთი.

სურათზე: საფრანგეთი – რუსეთი. ფინალური მატჩის მომენტი.

სწორედ ის, ლეგენდარული ჰაიდენი

ოლიმპიური ჩემპიონის ხუთი ოქროს მედლის მფლობელი თეთრ ოლიმპიადაზე ლეიკ-პლესიდში, (1980 წ.) ლეგენდარული ამერიკელი მოცეგურავე ერიკ ჰაიდენი ამ ზაფხულს შეუერთდა აშშ-ს ნაკრებს, რომელიც ემზადება მომავალი თამაშებისათვის (სოლტ-ლეიკ-პლესიტი, აშშ). როგორც გაირკვა, ე. ჰაიდენი ყინულის ბილიკზე გამოსვლას არ აპირებს, იტყობინება ამერიკული პრესა. საქმე ისაა, რომ სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ მოცეგურავემ სამედიცინო განათლება მიიღო და 43 წლისა ქირურგ-ორთოპედად მუშაობს. ამ ზაფხულს 80-იანი წლების ეროვნულმა კერპმა, აშშ-ს ოლიმპიური კომიტეტის სამედიცინო კომისიაში გაიარა ორკვირიანი მომზადება. ვარაუდობდნენ, რომ ჰაიდენი ოლიმპიადაზე მედიცინის დეპარტამენტის შემადგენლობაში იქნებოდა, მაგრამ, როგორც კი მოცეგურავეთა ნაკრების წინადადება მიიღო, იგი უყოყმანოდ დათანხმდა მასთან მუშაობას.

ჰაიდენი

– „ჩვენს ნაკრებს ეს დიდად დაეხმარება, – განუცხადა პრესის წარმომადგენლებს ამერიკის ციგურაობის, ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა კატი მარკუარდმა. გარდაუვალ სამედიცინო დახმარებასთან ერთად, ჰაიდენი ჩვენს ნაკრებს დიდ მორალურ მხარდაჭერას აღმოუჩენს, რაც აუცილებელია დღეს ახალგაზრდობისათვის.

საინტერესოა, რომ 21 წლის წინათ, ერთ ოლიმპიადაზე მან ხუთი ოქროს მედალი მოიგო (ამ მაჩვენებლით ჰაიდენს მარტო თანამემამულე მარკ სპიტცი უსწრებს, 1972 წელს მიუნხენში მან 7 უმაღლესი ჯილდო მიიღო), და სულაც არ აპირებს როგორმე ისევ ციგურაობაში დარჩეს მწვრთნელად. თავისი მომავალი მთლიანად მედიცინას უძღვნა.

„ᲕᲣᲔᲚᲢᲐᲖᲔ“ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲛᲫᲐᲤᲠᲓᲔᲑᲐ

„ვუელტას“ ყველაზე გრძელი ეტაპი (207,2 კმ) მოიგო დანიელმა ველომრბოლმა კლაუს მიულერმა.

მე-15 ეტაპი: 1. კლაუს მიულერი (დანია) – 5:44,18
2. ჯილბერტო სიმონი (იტალია) ჩამორჩენა – 15 წმ.
3. კარლოს სასტრი (ესპანეთი) ჩამორჩენა – 15 წმ.

საერთო ჩათვლა:
1. ოსკარ სევილია (ესპანეთი) – 51:53.25.
2. ანხელ კასერო (ესპანეთი) ჩამორჩენა – 25.
3. ხუან მიგელ მერკადო (ესპანეთი) ჩამორჩენა – 2.02.

სურათზე: კლაუს მიულერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანონსი • უმაღლესი ლიგა. VIII ტური

მსაჯები, ინსპექტორები

ლოკომოტივი — მერანი. მთავარი მსაჯი — ა. მეშკოვი, ასისტენტები — ხუციშვილი, მენთეშაშვილი, მეოთხე მსაჯი — კრიჟაშვილი, ინსპექტორი — გ. ფირცხალავა.

სამგურალი — დინამო (თბ), მთავარი მსაჯი — ს. კვარაცხელია, ასისტენტები — დოლიძე, გაბრიაძე, მეოთხე მსაჯი — სანაია, ინსპექტორი — გ. ძამუკაშვილი.

გურია — დინამო (ბთ). მთავარი მსაჯი — ა. ორდინიძე, ასისტენტები — ჯვარიძე, ი. შალამბერიძე, მეოთხე მსაჯი — ანიაშვილი, ინსპექტორი — რ. ჩილაჩავა.

ტორპედო — ვიტ ჯორჯია. მთავარი მსაჯი — მ. მალაღურაძე, ასისტენტები — ბრეგვაძე, სილაგავა, მეოთხე მსაჯი — მაისურაძე, ინსპექტორი — ა. მელჩენკო

კოლხეთი 1913 — მეტალურგი. მთავარი მსაჯი — ჯ. ბუიშვილი, ასისტენტები — მიქელაძე, ჩიგოგიძე, მეოთხე მსაჯი — მესხი, ინსპექტორი — ე. სილაგავა.

სიონი — გორდა. მთავარი მსაჯი — პ. დოგრაშვილი, ასისტენტები — სამხარაძე, ცირდავა, მეოთხე მსაჯი — ა. შალამბერიძე, ინსპექტორი — მ. ლაცაბიძე.

სევდიანი შემოდგომა

დავით ჯფიანის გარდაცვალებამ ყველაფერი გააუფერულა. გლოვა და წუთიერი დუმილი დაებედა მეცამეტე ეროვნულს. დამწუხრებული და დაღონებული მიადევნებს ამიერიდან ჩემპიონატის მსვლელობას თვალს გულშემატკივარი. დანაკარგი აუნაზღაურებელია. გლოვობს სრულიად საქართველო, საფეხბურთო სამყარო. თუმცა ჩემპიონატი გრძელდება. გუშინ ითამაშეს პირველ ლიგაში, დღეს კი ტურნირს გააგრძელებს უმაღლესი ლიგა. მერვე ტურში საყურადღებო, რა თქმა უნდა, თბილისური მატჩია. მესამეადგილოსანი „ლოკომოტივი" მეორეზე მყოფ „მერანს" უმასპინძლობს. ავსალელებმა ერთი დერბი ჩაფლავეს, ახლაც თუ ისე ითამაშეს, როგორც დინამოსთან, მათი ლიდერებში ყოფნა ეჭვქვეშ დადგება. „ლოკომოტივი" უთუოდ შეეცდება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს მერანელთა გუნდის პრობლემები. კლუბებს შორის სხვაობა მხოლოდ ერთი ქულაა, რაც სიმძაფრეს შემატებს შეხვედრებს, ისედაც მნიშვნელოვან მატჩს. უდანაკარგოდ მოასპარეზე ჩემპიონი შინ ითამაშებს. „ტორპედო" „ვიტ ჯორჯიას" მიიღებს. ეს შეხვედრაც გარკვეულ ინტერესს იწვევს. ქუთაისელებს შესანიშნავი შანსი აქვთ კვლავ გააგრძელონ წაუგებელი სერია, თუმცა ვიტელთა მედგარი ხასიათის გათვალისწინებით ეს ადვილი არ იქნება. ლიდერობისკენ მიისწრაფიან კოლხები და ბათუმელი დინამოელები. „კოლხეთი" აუტსაიდერ „მეტალურგთან" პაექრობაში შეეცდება ქულათა მარაგის შევსებას, ბათუმის „დინამო" კი „გამოცდის" ჩასაბარებლად „გურიას" ეწვევა. წყალტუბოს „სამგურალი" წინა ტურში ვიტელებს შეებრძოლა. ახლა კი თბილისის „დინამოსთან" მოუწევს დაჯიდება. ტურის გამოსარჩევ მატჩად შეიძლება მივიჩნიოთ ბოლნისის „სიონისა" და რუსთავის „გორდას" შეხვედრა. არც ერთს ულხინს, ორივეს პრობლემები მოსძალებია, თანაც წინა ტურში ერთიც დამარცხდა და მეორეც, ისიც შინ, „გორდას" მწვრთნელები დაიმუქრნენ ჩემპიონატიდან გავალთო, ასე და ასე გვჩაგრავენო, მაგრამ ეს მუქარა, ალბათ საკუთარი ძალების ურწმუნობისა და უსუსურობის გამოხატულება უფროა. უმჯობესია ხელმძღვანელებმაც, მწვრთნელებმაც და ფეხბურთელებმაც კლუბის ყოფითი საკითხები მოაგვარონ და თამაშის ხარისხის გაუმჯობესებაზე იფიქრონ.

ჩემპიონატის საწყის ტურებში „ტორპედოს" უპირატესობა თვალსაჩინოა. ჩემპიონი მატჩიდან მატჩამდე უმატებს ტემპს და ოდნავი მიახლოების საშუალებას არ აძლევს მეტოქეებს. დანარჩენ, უმაღლესი ლიგის თერთმეტივე კლუბს საკუთარი პერსპექტივის დამტკიცება ყოველ მატჩში უწევს, ზოგიერთი, ამას მეტნაკლები წარმატებით ახერხებს, ზოგიერთს კი მხოლოდ ერთი საფიქრალი აქვს, დარჩეს ლიგაში.

საბა ლომინაძე

საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ტორპედო	7	7	0	0	19:1	21
მერანი	7	5	1	1	11:8	16
ლოკომოტ.	7	5	0	2	15:6	15
დინამო (ბთ)	7	4	1	2	11:5	13
კოლხეთი	7	4	0	3	16:12	12
დინამო (თბ)	7	3	1	3	16:7	10
ვიტ. ჯორჯია	7	3	1	3	10:9	10
სამგურალი	7	2	1	4	6:12	7
სიონი	7	2	1	4	4:15	7
გურია	7	1	2	4	5:10	5
გორდა	7	1	1	5	6:17	4
მეტალურგი	7	0	1	6	2:19	1

ბომბარდირები

აშვეთია (ტორპედო) — 8
ბობოხიძე (დინამო თბ) — 7
წივწივაძე (კოლხეთი 1913) — 6
მაჭუტაძე (დინამო ბთ.) — 5
დათვაძე (ლოკომოტივი) — 5
გოგობერიშვილი (ვიტ ჯორჯია) — 4.

პირველი ლიგა

VII ტური

დინამო2 (თბ)	—	თორი	3-0
კოლხეთი (ხ)	—	მერანი2	0-0
ლოკომოტივი (სამტრ)	—	დილა	0-0
ქობულეთი	—	ცხინვალი	2-0
მილანი (წნ)	—	ლაზიკა	3-0
ლოკომოტივი 3	—	თსუ	3-3

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დილა	7	6	1	0	21-1	19
მილანი (წნ)	7	5	1	1	16-3	16
ქობულეთი	7	5	1	1	7-5	16
ცხინვალი	7	4	1	2	14-7	13
დინამო2 (თბ)	7	3	0	4	8-9	9
ლოკომ.3	7	2	3	2	10-12	9
თსუ	7	2	2	3	8-8	8
კოლხეთი (ხ)	7	1	5	1	4-6	8
ლაზიკა	7	2	1	4	6-14	7
ლოკომ (სამტ)	7	1	2	4	4-11	5
მერანი2	7	1	1	5	2-9	4
თორი	7	1	0	6	4-18	3

შენაძენი და დანაკარგი

ტური მასპინძლებმა მოიგეს, გამარჯვება — 3, ფრე — 3. ყველაზე სანახაობრივი და დაძაბული დედაქალაქური დერბი გამოდგა. რკინიგზელებისა და სტუდენტების პაექრობაში მაყურებელმა ერთბაშად ექვსი გოლი იხილა, რაც თამაშის უკომპრომისო ხასიათზე მიუთითებს. ტურის ცენტრალური შეხვედრა ქობულეთში ჩატარდა. მასპინძლებმა მოიგეს და სტუმრები ერთი საფეხურით ჩამოაქვეითეს. დაგეგმილი სამი ქულა აიღო მეორე ადგილზე მყოფმა წნორის „მილანმა". ზედიზედ ექვსი გამარჯვების შემდეგ პირველი ორი ქულა დაკარგა გამოკვეთილმა ლიდერმა გურის „დილამ". ქართელებმა ვერაფერი მოუხერხეს სამტრედიელი რკინიგზელების დაცვით ბასტიონს და ამჯერად მხოლოდ ნულოვან ფრეს დასჯერდნენ. ლიდერის წაფორხილებით მისმა კონკურენტებმა იხეირეს და ქულათა სხვაობა სამ ქულამდე შეამცირეს. როგორც ჩანს, პირველ ეტაპზე გორელებს უმთავრეს მეტოქეობას ორი გუნდი „მილანი" და „ქობულეთი" გაუწევს. ლიგაში სტაბილური თამაშით სწორედ ლიდერთა სამეული გამოირჩევა.

რეგიონული ლიგა

დასავლეთის ზონა

V ტური

ინტერი — საპოვნელა 1-1
დინამო2 — კოლხეთი2 0-2
მერცხალი — სქური 1-0
დინამო (სოხ) — საირმე 3-1
სამეგრელო — ჩიხურა 4-1
სულორი — სალხინო 4-1
გურია2 — ლუკა 5-1
მეტალურგი2 — მაღაროელი 4-3
დინამო (ზ) — გზები 2-0
ოკრიბა — ეგრისი 0-1

VI ტური

საპოვნელა — ეგრისი 5-0
გზები — ოკრიბა 2-0
მაღაროელი — დინამო (ზ) 0-1
ლუკა — მეტალურგი 0-1
სალხინო — გურია2 1-2
ჩიხურა — სულორი 0-3
საირმე — სამეგრელო 4-0
სქური — დინამო (სოხ) 4-1
კოლხეთი2 — მერცხალი 1-1
ინტერი — დინამო2 1-0

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სულორი	6	6	0	0	18-3	18
მერცხალი	6	5	1	0	12-3	16
დინამო (ზ)	6	5	1	0	12-4	16
გურია2	6	4	1	1	16-4	13
საპოვნელა	6	3	2	1	18-7	11
ინტერი	6	3	1	2	10-4	10
მეტალურ.2	6	3	1	2	10-7	10
საირმე	6	3	1	2	7-4	10
სქური	6	3	0	3	10-8	9
სამეგრელო	6	3	0	3	10-8	9
სალხინო	6	3	0	3	9-10	9
კოლხეთი2	6	2	3	1	6-4	9
მაღაროელი	6	2	1	3	8-12	7
ეგრისი	6	1	1	3	5-9	7
გზები	6	2	0	4	4-11	6
დინამო (სოხ)	6	1	1	4	6-13	4
ჩიხურა	6	1	0	5	6-18	3
ლუკა	6	1	0	5	4-13	3
დინამო2	6	1	0	5	3-11	3
ოკრიბა	6	0	0	6	1-18	0

აღმოსავლეთის ზონა

VI ტური

თბილისი — მაუდი 1-3
ჯავახი — ვიტ ჯორჯია2 1-7
ალაზანი — გორდა2 4-0
მერანი3 — ლიახვი 2-1
მრეტები — მცხეთა 0-2
კრწანისი — დინამო3 1-1
ჭაბუკიანი — ივერია 4-0
მესხეთი — ოლიმპიკი 1-1

დღეს

ცხუმი — ზოოვეტი

ხვალ

აკადემია — ვარძია

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ალაზანი	5	4	0	1	28-7	12
მცხეთა	5	4	0	1	9-2	12
ივერია	5	3	1	1	11-7	10
ვარძია	4	3	1	0	7-2	10
ზოოვეტი	3	3	0	0	6-0	9
ვიტ ჯორჯია2	5	2	3	0	18-4	9
ოლიმპიკი	4	2	2	0	9-3	8
აკადემია	4	2	1	1	9-4	7
მაუდი	4	2	1	1	5-4	7
ლიახვი	5	2	0	3	5-8	6
ჭაბუკიანი	4	1	3	0	6-2	6
გორდა2	5	1	2	2	9-6	5
ცხუმი	4	1	2	1	5-2	5
დინამო3	4	1	1	2	4-4	4
თბილისი	5	1	1	3	6-9	4
მესხეთი	5	1	1	3	4-11	4
მერანი3	5	1	1	3	4-12	4
მრეტები	4	0	1	3	3-8	1
კრწანისი	5	0	1	4	1-17	1
ჯავახი	5	0	0	5	3-30	0

ქართველთა და ოსთა სპორტული მეგობრობიდან

ცხინვალიდან მოგვაწოდა „ლელოს" ვეტერანმა კორესპონდენტმა ნოდარ ზადიევმა (ზადიშვილი).

● **დაასახელეთ** გვარები ოსი ფეხბურთელებისა, რომლებიც მონაწილეობდნენ თბილისის „დინამოს" სამ ისტორიულ მატჩში.

● **დაასახელეთ** თბილისის „დინამოს" ოსი ფეხბურთელი, რომელიც ერთ წელს იყო საბჭოთა კავშირის საუკეთესო ბომბარდირი.

● **ვლადიკავკაზის** „სპარტაკი" („ალანია") 1995 წელს გახდა რუსეთის ჩემპიონი. დაასახელეთ ქართველი ფეხბურთელები, რომლებიც ამ გუნდში თამაშობდნენ აღნიშნულ წელს.

● **დაასახელეთ** მინიმუმ ხუთი ოსი ფეხბურთელი, რომლებიც სხვადასხვა წლებში თამაშობდნენ თბილისის „დინამოში".

● **დაასახელეთ** ცხინვალელი ქართველი ფეხბურთელი, რომელიც საბჭოთა კავშირის უმაღლესი ლიგის ორ გუნდში თამაშობდა სხვადასხვა წლებში.

● **დაასახელეთ** რუსეთის უმაღლესი ლიგის ორი გუნდი, სადაც თამაშობდნენ და გუნდის კაპიტნები იყვნენ ცხინვალელი ფეხბურთელები. „ლელოში" პასუხები გამოაგზავნეთ 30 სექტემბრამდე. ვიქტორინაში გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრიზი ცხინვალში მიპატიჟებით.

? შეკითხვა „ლელოს"

შეკითხვა: ამას წინათ, ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, რომ ქართულ ფეხბურთს მანამდე არ ეშველება, ვიდრე ჩვენს გუნდებს „დინამო", „ლოკომოტივი", „ტორპედო" ჰქვია, ფეხბურთის ფედერაცია კი ამას მშვიდად უყურებს. მაინტერესებს გადაერქმევა თუ არა უცხო სახელები გუნდებს, რათა, როგორც იმ ავტორს ჰგონია, ეშველოს ქართულ ფეხბურთს?

ნ. ფეიქრიშვილი, თბილისი

პასუხი: გუნდებისთვის სახელების გადარქმევის გზა ერთხელ უკვე გავიარეთ და არაფერი მოუტანია სახარბიელო. მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში ის არის, რომ საფეხბურთო კლუბები თავად ირჩევენ სახელს და სულაც არ ნიშნავს, რომ გარედან ვინმე ჩაერევა. მეტწილად სახელი გამოხატავს იმათ ინტერესებს, ვინც აფინანსებს. მაგალითად, ავიღოთ „ლოკომოტივი". რატომ არ უნდა ერქვას რკინიგზელთა გუნდს ეს სახელი, ან მეტალურგებისას. „მეტალურგი"? ფეხბურთის ფედერაცია აქ არაფერ შუაშია. ფედერაცია განაცხადს მიიღებს და საერთაშორისო ორგანიზაციებში წარადგენს იმ სახელწოდებით, როგორც ამას ესა თუ ის საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობა წარუდგენს ფედერაციას. ცხადია, კაცის სახელისა არ იყოს, მისი შეცვლა არც ისე იოლია და არც სასურველი.

გამოიწერეთ
2001 წლის IV კვარტლისათვის
„ლ"

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის დინამოს ვეტერანი ფეხბურთელი

თეიმურაზ ჩლაიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ბავშვთა ფეხბურთი

გამარჯვებული გუნდი: I რიგში. მარცხნიდან: გიორგი გულიშვილი, გიორგი ტუღუში, რატი ბურდული, ლაშა კოდოშვილი, თორნიკე მღებრიშვილი, საბა ხაზალია, რეზო ზირაქაშვილი; II რიგში: მწვრთნელი სოსო მუხიგულაშვილი, გოგი კვინიკაძე, ნიკა ხოშტარია, აპოლონ სარსანია, კოტე ხადირბეგიშვილი, ლაშა მუხიგულაშვილი, გიორგი ხუგაშვილი, ლაშა მღებრიშვილი, გიორგი ჯორბენაძე, მწვრთნელი გია ქვრივიშვილი; III რიგში: გიორგი გველესიანი, ნიკა ბარბაქაძე, ზაზა ძაგანია, მერაბ მამალაძე, გიორგი თვალავაძე, საბა დვალიშვილი, სანდრო ლეჟავა, ნიკა მახვილაძე, გაგი გოგოლაშვილი, ზურაბ ტიელიძე.

მეორე ადგილზე გასული გუნდი „ბური“.

რობერტ ბაგოიანის ფოტოები

ჰაბარეები აკადემიკოსობენ

საფეხბურთო კლუბ „ბერმუხას“ ახალ საწვრთნელ ბაზაზე ვარკეთილში დამთავრდა ტრადიციული ტურნირი, რომელიც ტრაგიკულად დაღუპული „ბერმუხას“ ფეხბურთელის ზვიად ჯოლოგუას ხსოვნას მიეძღვნა. მონაწილეობდნენ ქ. თბილისის ცნობილი კლუბები. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ახალგაზრდა ფეხბურთელთა აკადემია (მწვრთნელები სოსო მუხიგულაშვილი, გია ქვრივიშვილი) და „ბერმუხა“ (მწვრთნელები ა. ჩადუნელი და თ. გურასპიშვილი). დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა აკადემიამ — 2-0. გამოვლინდნენ პერსპექტიული ფეხბურთელები, ბექა ბექაური („ბერმუხა“), გიორგი ფუტკარაძე („ვაზისუბანი“), გიორგი კირაძე („აკადემია“), გიორგი ნადირაძე („ბერმუხა“). ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა ბექა ჯიქია („ბერმუხა“), აგრეთვე საბა ხაზალია და ზურაბ ტიელიძე (ორივე — „აკადემია“).

გამარჯვებული გუნდი „გრანდი“

„გრანდი“ და „ბური“

„ნორჩი დინამოელის“ 50 წლისთავს მიეძღვნა ჭაბუკთა საფეხბურთო ტურნირი, რომელშიც 1990 წელს დაბადებული მოზარდი ფეხბურთელები მონაწილეობდნენ. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ თბილისის „გრანდი“ (მწვრთნელი კობა მეავანაძე) და მუხრანის „ბური“ (მწვრთნელი გიორგი მიქელაძე. 5-0 გაიმარჯვა „გრანდმა“ და მთავარ პრიზს დაეუფლა, თასი და დიპლომები გადაეცა აგრეთვე მეორე პრიზიორს — „ბურს“. ტურნირმა, რომელიც კარგად იყო ორგანიზებული, ბევრი პერსპექტიული ნორჩი მოთამაშე გამოავლინა.

ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები

მეორე ადგილზე გასული მუხრანის „ბური“

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

აზია

A ჯგუფი

ბაჰრეინი — საუ-არაბეთი 0-4

ტაილანდი — ერაყი 1-1

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
საუ. არაბ.	5	3	1	1	9-4	10
ირანი	4	2	2	0	4-1	8
ბაჰრეინი	5	1	3	1	4-6	6
ერაყი	5	1	1	3	6-6	4
ტაილანდი	5	0	3	2	3-9	3

მომდევნო ტური:

28 სექტემბერი: ერაყი — ბაჰრეინი

საუ. არაბეთი — ირანი

B ჯგუფი

ომანი — ყატარი 0-3

უზბეკეთი — საემიროები 0-1

ჩინეთი	4	3	1	0	8-1	10
ყატარი	5	2	2	1	7-3	8
საემიროები	5	2	1	2	6-7	7
უზბეკეთი	5	2	0	3	8-8	6
ომანი	5	0	2	3	1-11	2

მომდევნო ტური

27 სექტემბერი: საემიროები — ჩინეთი

28 სექტემბერი: ყატარი — უზბეკეთი.

• მეთეძვსმეტედფინალში, უეფას თასზე, ბელგიის „სტანდარდისა“ და „სტრასბურის“ შეხვედრისას მოხდა ინციდენტი, რომელსაც ალბათ უეფას სანქცია მოჰყვება. მას შემდეგ, რაც ბელგიელებმა პირველი გოლი გაიტანეს, იქაურმა ფანატებმა მუყაოს ჭურვი ისროლეს ჩილავერტის მიმართულებით. მეკარემ მიწაზე გართხმა და ყურების თითებით დაცობა მოასწრო. თამაში კი მას შემდეგ განაგრძო, როცა გონს მოეგო.

• გასულ შაბათს „ტოტენჰემთან“ მატჩისას „ლივერპულის“ ფორვარდმა მაიკლ ოუენმა უკვე თამაშის მე-15 წუთზე მოითხოვა შეცვლა. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ამ ფეხბურთელს მარცხენა ფეხის კუნთი გაუწყდა. ექიმების ვარაუდით, ოუენი სამი კვირა იმკურნალებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნულ ჩემპიონატში იგი გამოტოვებს მინიმუმ 6 მატჩს და ვერ დაეხმარება ინგლისის ნაკრებს ბერძნების წინააღმდეგ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ნომრიდან ნომრამდე

• იტალიის „ინტერის“ შემადგენლობაში 17 თვის შესვენების შემდეგ, ოფიციალურ მატჩში კვლავ ითამაშა რონალდომ. ეს იყო უეფას თასის პირველი რაუნდის შეხვედრა „ბრაშოვის“ წინააღმდეგ. რონალდო თამაშში ჩაერთო 63-ე წუთითან, როცა „ინტერი“ წინ იყო 3-0. „ამაყოფილი დავრჩი ჩემი თამაშით, ძალიან მინდოდა მეგრძნო ოფიციალური მატჩის რიტმი, რომელიც სრულიად განსხვავდება ამხანაგური მატჩებისგან. მე დავბრუნდი“ — თქვა რონალდომ.

• ხიზანეიშვილი, რომელიც „როსტსელმაშში“ მცველად თამაშობს, ამ სეზონში ვეღარ დაეხმარება ამ გუნდს, ვინაიდან მყესი სერიოზულად დაიზიანა და სრულ აღდგენას, როგორც ამბობენ ექიმები, ორი თვე დასჭირდება.

ხიზანეიშვილი

• ჰოლანდიის ჩემპიონატში „ბრედასა“ და „ტილბურგის“ შეხვედრის მე-20 წუთზე, ფანატებმა მასობრივი არეულობა გამოიწვიეს ტრიბუნებზე, რაც ჩხუბში გადაიზარდა. მატჩი ჩაიშალა.

• მართალია, უეფას თასზე, როგორც მოსალოდნელი იყო, ბელარუსის „ბატე“ დამარცხდა „მილანთან“ (2-0), სენსაცია მაინც მოხდა. იტალიელებმა იქვე დაადგეს თვალი ბელარუსელ თავდამსხმელ ვიტალი კუტუზოვს. კლუბის პრეზიდენტმა ა. გალიანიმ განაცხადა, რომ კუტუზოვი სწორედ ისაა, ვისაც ეძებდა და უარს ამბობს ბირჰოფის შემცვლელ სხვა კანდიდატურებზე.





17 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი

სურათებზე: მარცხნივ: საფრანგეთი — ავსტრალია.

ბრინიდადი და ტობაგოში გაიმართა პირველი მეოთხედფინალური შეხვედრები

საფრანგეთი — ბრაზილია 2-1

1-0 პონგოი (38), 2-0 ლე ტალეკი (43), 2-1 ალბერონი (70)

ნიგერია — ავსტრალია 5-1

1-0 ოპაბუნმი (24), 2-0 ოპაბუნმი (69), 3-0 ოპაბუნმი (79), 4-0 მოჰამედი (81), 5-0 ტემილე (85). 5-1 ენგელე (86).

— ბრაზილია; მარჯვნივ: ნიგერია —

ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

გერმანია

შტუტგარტი — ჰანზა 2-1
კოტბუსი — ბაიერნი 0-3
ფრაიბურგი — შალკე 2-0
დორტმუნდი — ლევერკუზენი 1-1
ჰამბურგი — ვერდერი 0-4
კიოლნი — ნიურნბერგი 1-2
კაიზერი — ჰერტა 4-1
მიუნხენი — ვოლფსბურგი 2-1
მიონხენგლადბახი — სტ. პაული 2-2

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
კაიზერი	7	7	0	0	20-7	21
ბაიერნი	7	5	1	1	12-2	16
ლევერკუზენი	7	4	3	0	14-7	15
დორტმუნდი	7	4	1	2	11-4	13
შტუტგარტი	7	3	3	1	8-5	12
შალკე	7	3	2	2	9-9	11
კოტბუსი	7	3	2	2	10-11	11
მიუნხენი	7	3	1	3	8-11	10
მიონხენგლად.	7	2	3	2	10-9	9
ფრაიბურგი	7	2	2	3	8-8	8
ვერდერი	7	2	2	3	10-11	8
კიოლნი	7	2	2	3	7-8	8
ჰერტა	7	2	2	3	8-11	8
ნიურნბერგი	7	2	0	5	6-11	6
ჰანზა	7	1	2	4	4-11	5
ჰამბურგი	7	1	2	4	9-14	5
სტ. პაული	7	0	3	4	4-11	3
ვოლფსბურგი	7	0	3	4	7-15	3

ჰამბურგი — ვერდერი

კოტბუსი — ბაიერნი

მილანი — ლაციო

იტალია

ლეჩე — იუვენტუსი 0-0
ატალანტა — ვერონა 1-0
კიევო — პიაჩენცა 4-2
პარმა — ბრეშა 1-0
პერუჯა — უდინეზე 1-2
რომა — ფიორენტინა 2-1
ტორინო — ინტერი 0-1
ვენეცია — ბოლონია 0-1
მილანი — ლაციო 2-0

იუვენტუსი	4	3	1	0	9-2	10
მილანი	4	3	1	0	11-5	10
ინტერი	4	3	1	0	9-4	10
კიევო	4	3	0	1	10-5	9
ბოლონია	4	3	0	1	3-2	9
ლეჩე	4	1	3	0	4-3	6
ბრეშა	4	1	2	1	6-5	5
უდინეზე	4	1	2	1	6-6	5
პარმა	4	1	2	1	4-4	5
ვერონა	4	1	2	1	3-3	5
რომა	4	1	2	1	4-5	5
პიაჩენცა	4	1	1	2	6-7	4
ლაციო	4	0	3	1	1-3	3
ფიორენტინა	4	1	0	3	6-10	3
ატალანტა	4	1	0	3	2-6	3
ტორინო	4	0	2	2	3-6	2
პერუჯა	4	0	2	2	3-7	2
ვენეცია	4	0	0	4	1-8	0

ინგლისი

არსენალი — ბოლტონი 1-1
ბლეკბერნი — ევერტონი 1-0
ლესტერი — ფულემი 0-0
ლივერპული — ტოტენჰემი 1-0
მანჩესტერი — იფსვიჩი 4-0
სანდერლენდი — ჩარლტონი 2-2
ჩელსი — მიდლსბრო 2-2
ლიდსი — დერბი 3-0
ვესტჰემი — ნიუკასლი 3-0

ლიდსი	6	4	2	0	9-1	14
ბოლტონი	7	3	3	1	10-4	12
არსენალი	6	3	2	1	14-5	11
მანჩესტერი	6	3	2	1	17-10	11
ჩელსი	5	2	3	0	9-6	9
ლივერპული	5	3	0	2	8-7	9
ბლეკბერნი	7	2	3	2	8-8	9
სანდერლენდი	7	2	3	2	6-7	9
ნიუკასლი	5	2	2	1	10-9	8
ტოტენჰემი	7	2	2	3	8-8	8
ევერტონი	6	2	1	3	7-10	7
მიდლსბრო	7	2	1	4	7-14	7
ასტონ ვილა	4	1	3	0	4-2	6
ფულემი	6	1	3	2	6-7	6
ვესტ ჰემი	5	1	2	2	4-4	5
ჩარლტონი	5	1	2	2	5-7	5
იფსვიჩი	6	1	2	3	5-9	5
დერბი	6	1	2	3	5-10	5
ლესტერი	6	1	2	3	5-14	5
საუთჰემპტონი	4	1	0	3	1-6	3

ესპანეთი

რეალი — ესპანიოლი 5-1
ალავესი — დეპორტივო 2-3
ბარსელონა — ტენერიფე 2-0
ვილიარეალი — სოსიედადი 1-0
სელტა — მალიორკა 2-0
ვალიადოლიდი — ბეტისი 0-2
ლას პალმასი — მალაგა 0-0
ბილბაო — ვალენსია 2-2
სარაგოსა — ოსასუნა 0-1
სევილია — რაიო 2-1

სელტა	4	3	1	0	8-0	10
ბეტისი	4	3	0	1	9-4	9
დეპორტივო	4	3	0	1	6-3	9
ვილიარეალი	4	3	0	1	6-3	9
ბარსელონა	4	2	2	0	5-2	8
ვალენსია	4	2	2	0	5-3	8
ალავესი	4	2	1	1	6-3	7
ბილბაო	4	2	1	1	7-5	7
სევილია	4	2	1	1	7-6	7
მალაგა	4	1	2	1	5-5	5
რეალი	4	1	1	2	7-6	4
ლას პალმასი	4	1	1	2	3-2	4
სარაგოსა	4	1	1	2	4-5	4
მალიორკა	4	1	1	2	1-5	4
ვალიადოლიდი	4	1	1	2	3-8	4
ოსასუნა	4	1	1	2	1-6	4
ტენერიფე	4	1	0	3	2-7	3
ესპანიოლი	4	1	0	3	5-11	3
რაიო	4	0	1	3	4-7	1
სოსიედადი	4	0	1	3	1-6	1

საფრანგეთი

პსჟ — მონპელიე 0-0
მონაკო — ლანსი 3-0
ოსერი — გენგამი 2-2
ლილი — ბასტია 2-1
მარსელი — ნანტი 2-0
მეცი — ლიონი 2-0
რენი — ტრუა 0-1
ლორიანი — ბორდო 0-2
სოშო — სედანი 3-0

ოსერი	8	5	3	0	14-5	18
ლილი	8	5	3	0	10-4	18
ლანსი	8	5	2	1	13-7	17
ლიონი	8	5	1	2	13-6	16
სოშო	8	4	2	2	12-9	14
პსჟ	8	2	6	0	10-6	12
ბორდო	8	2	4	2	5-4	10
ბასტია	8	3	1	4	7-8	10
ტრუა	8	3	1	4	6-7	10
მონაკო	8	2	3	3	7-8	9
ლორიანი	8	2	3	3	8-10	9
მეცი	8	3	0	5	6-9	9
მონპელიე	8	1	5	2	5-4	8
რენი	8	2	2	4	8-14	8
გენგამი	8	2	2	4	5-12	8
მარსელი	8	1	4	3	4-6	7
სედანი	8	1	4	3	7-11	7
ნანტი	8	0	2	6	4-14	2

პოლანდია

როდა — დენ ბოსხი 4-1
ჰერენვენი — პსვ 4-1
ვალვაიკი — სიტარდი 1-0
გრაიფსხაპი — ვიტესი 0-2
აიაქსი — სპარტა 3-0
ალკმაარი — უტრეხტი 1-0
ბრედა — ტილბურგი (ჩაიშალა)
ნაიმეგენი — გრონინგენი 1-0

აიაქსი	5	4	1	0	9-2	13
ფეიენოორდი	5	4	0	1	13-2	12
ვიტესი	6	3	3	0	6-2	12
ტილბურგი	5	3	1	1	9-5	10
ვალვაიკი	6	3	1	2	7-3	10
ჰერენვენი	5	2	2	1	11-4	8
დენ ბოსხი	6	2	2	2	10-9	8
უტრეხტი	6	2	1	3	9-8	7
ტვენტე	5	2	1	2	7-8	7
გრაიფსხაპი	6	2	1	3	6-7	7
ალკმაარი	6	2	1	3	6-7	7
პსვ	6	2	1	3	10-13	7
გრონინგენი	6	2	1	3	7-10	7
ბრედა	5	2	1	2	7-10	7
ნაიმეგენი	6	2	1	3	5-9	7
სპარტა	6	1	2	3	4-13	5
როდა	6	1	1	4	6-12	4
სიტარდი	6	1	1	4	3-11	4

პორტუგალია

ბრაგა — სანტა კლარა 6-0
�eირ-ვისენტე — ბოავიშტა 0-3
პორტუ — სეტუბალი 3-0
ბეირა მარი — სალგეირუში 1-1
ალვერკა — ვარზიმი 4-2
ლეირია — მარიტიმუ 2-0
ფარენსე — სპორტინგი 1-3
ბელენენსეში — ბენფიკა 1-1
გიმარაეში — ფერეირა 1-1

ბოავიშტა	6	5	0	1	12-5	15
პორტუ	6	4	1	1	13-3	13
ბენფიკა	6	2	4	0	11-8	10
სპორტინგი	6	3	1	2	8-7	10
გიმარაეში	6	3	1	2	6-6	10
სეტუბალი	6	3	0	3	12-10	9
მარიტიმუ	6	3	0	3	10-8	9
ლეირია	6	2	3	1	7-5	9
ალვერკა	6	3	0	3	8-11	9
ფილ ვისენტე	6	2	2	2	6-8	8
სანტა კლარა	6	2	2	2	6-10	8
ბრაგა	6	2	1	3	12-5	7
ბელენენსეში	6	2	1	3	5-9	7
ფარენსე	6	2	1	3	5-9	7
ფერეირა	6	1	3	2	7-7	6
ბეირა მარი	6	1	3	2	8-12	6
სალგეირუში	6	1	1	4	3-11	4
ვარზიმი	6	0	2	4	6-17	2

ბარსელონა — ტენერიფე

ბელგია

ლოკერენი — შარლერუა გადაიდო
ლუვიე — აალსტი 1-3
გენკი — ლიერსი 4-2
სტ. ტრუიდენი — ბეერსხოტი 2-2
მუსკრონი — მოლენბეკი 4-1
ბევერენი — ლომელი 0-2
ანტვერპენი — გენტი 2-3

გენტი	6	6	0	0	15-6	18
აალსტი	6	5	1	0	11-2	16
ბრიუგე	5	5	0	0	15-5	15
გენკი	6	3	2	1	18-11	11
სტანდარდი	5	3	2	0	8-3	11
სტ. ტრუიდენი	6	3	2	1	14-11	11
შარლერუა	5	3	1	1	6-5	10
ლიერსი	6	2	3	1	8-7	9
ლომელი	6	3	0	3	12-16	9
ანდერლეხტი	5	2	2	1	10-7	8
ბეერსხოტი	6	1	4	1	14-11	7
ლოკერენი	5	1	1	3	6-8	4
ანტვერპენი	6	1	1	4	7-10	4
ვესტერლო	5	1	0	4	11-13	3
მუსკრონი	6	1	0	5	7-9	3
მოლენბეკი	6	0	1	5	5-12	1
ლუვიე	6	0	1	5	6-21	1
ბევერენი	6	0	1	5	4-20	1

თურქეთი

ქოჯაელი — გიოზთეფე 2-0
ბურსა — სამსუნი 2-1
გალათასარაი — ფენერბახჩე 2-0
დენიზლი — მალათია 4-1
იოზგათი — გენჩლერბირლინგი 0-2
ისთანბული — ტრაბზონი 2-1
ანკარა — ბეშიქთაში 3-4
რიზე — ანთალია 1-1

გალათასარაი	6	5	1	0	14-5	16
ისთანბული	6	5	1	0	6-1	16
გიოზთეფე	6	4	1	1	8-5	13
ქოჯაელი	6	3	3	0	12-6	12
ფენერბახჩე	6	3	1	2	11-7	10
გენჩლერბირლ.	6	2	3	1	15-11	9
ტრაბზონი	6	3	0	3	12-9	9
რიზე	6	2	2	2	9-10	8
დენიზლი	6	2	1	3	10-5	7
ბეშიქთაში	5	2	1	2	11-8	7
იოზგათი	6	2	1	3	8-12	7
ბურსა	6	2	1	3	6-13	7
ანკარა	6	2	0	4	21-16	6
გაზიანთეფი	5	1	2	2	4-5	5
ანთალია	6	1	2	3	8-17	5
დიარბაქირი	5	1	1	3	9-13	4
სამსუნი	5	1	1	3	6-10	4
მალათია	6	0	0	6	1-18	0

შოტლანდია

სელტიკი — აბერდინი 2-0
დანფერმლაინი — ლივინგსტონი 1-2
მოზერუელი — ჰარტსი 2-0
დანდი იუნ. — რეინჯერსი 1-6
ჰიბერნიანი — სტ. ჯონსტონი 4-0
კილმარნოკი — დანდი 0-1

სელტიკი	8	7	1	0	19-2	22
რეინჯერსი	8	5	3	0	22-6	18
ჰიბერნიანი	8	4	2	2	20-12	14
ლივინგსტონი	8	3	4	1	8-5	13
კილმარნოკი	8	3	2	3	9-9	11
დანდი	8	3	2	3	8-13	11
ჰარტსი	8	3	1	4	8-10	10
აბერდინი	8	3	1	4	9-12	10
დანდი იუნ.	8	2	2	4	8-16	8
დანფერმლაინი	8	2	0	6	13-20	6
მოზერუელი	8	1	3	4	9-17	6
სტ. ჯონსტონი	8	0	3	5	5-16	3

შვეიცარია

ლუგანო — იანგ ბოისი 0-0
ბაზელი — სიონი 2-1
ქსამაქსი — ლუცერნი 4-1
არაუ — გრასჰოპერსი 1-0
ლოზანა — სენტ გალენი 1-1
ციურიხი — სერვეტი 0-3

სერვეტი	12	6	3	3	20-11	21
გრასჰოპერი	12	6	2	4	28-15	20
არაუ	12	5	4	3	17-12	19
იანგ ბოისი	12	5	4	3	19-18	19
სტ. გალენი	12	5	3	4	23-21	18
ლუგანო	12	5	3	4	17-18	18
სიონი	12	5	2	5	19-15	17
ბაზელი	11	5	2	4	22-21	17
ციურიხი	12	4	5	3	15-17	17
ქსამაქსი	12	3	5	4	12-14	14
ლოზანა	11	2	3	6	11-21	9
ლუცერნი	12	1	2	9	13-33	5

პოლონეთი

A ჯგუფი

ოსტროვეცი — გურნიკი 1-2
ოდრა — ზაგლებე 3-0
ვიძევი — კატოვიცე 3-0
პოლონია — ვისლა 2-0

პოლონია	9	4	4	1	16-8	16
ვისლა	9	5	1	3	17-10	16
ოდრა	9	5	1	3	16-12	16
ზაგლებე	9	4	1	4	12-13	13
ოსტროვეცი	9	3	2	4	10-9	11
კატოვიცე	9	3	2	4	12-18	11
გურნიკი	9	2	3	4	8-13	9
ვიძევი	9	3	0	6	8-16	9

B ჯგუფი

რუხი — პოგონი 3-0
რადომსკო — სტო მილი 2-0
შლეინსკი — გროცლინი 4-3
ამიცა — ლეგია 1-2

ამიცა	9	5	3	1	17-10	18
ლეგია	9	5	1	3	22-11	16
პოგონი	9	4	3	2	10-10	15
შლეინსკი	9	4	2	3	18-16	14
გროცლინი	9	3	2	4	14-15	11
რუხი	9	3	2	4	9-14	11
რადომსკო	9	2	3	4	7-10	9
სტომილი	9	1	2	6	7-18	5

რუსეთი

სოკოლი — სპარტაკი 2-4
ტორპედო ზილი — ფაკელი 3-1
როტორი — კრილია სოვეტოვი 3-1
ცსკა — სატურნი 0-0
როსტსელმაში — დინამო 1-1
ჩერნომორეცი — ალანია 1-0

სპარტაკი	24	14	7	3	43-20	49
ლოკომოტივი	24	13	6	5	44-20	45
ზენიტი	24	12	7	5	40-29	43
სატურნი	25	11	8	6	34-17	41
ტორპედო	24	12	5	7	43-33	41
კრილია სოვეტ.	24	11	7	6	29-19	40
ცსკა	25	9	11	5	28-19	38
სოკოლი	25	10	5	10	26-35	35
დინამო	25	7	8	10	31-38	29
ანჟი	24	6	10	8	22-24	28
როტორი	25	7	6	12	32-36	27
ალანია	25	7	6	12	24-35	27
როსტსელმაში	25	6	7	12	21-33	25
ტორპ. ზილი	25	5	9	11	17-31	24
ფაკელი	25	6	4	15	24-39	22
ჩერნომორეცი	25	4	8	13	13-43	20

ჩეხეთი

დრნოვიცე — სპარტა 0-2
ტეპლიცე — ბრნო 2-2
პრ. კრალოვე — პრეიბრამი 1-0
იაბლონეცი — ბლშანი 1-0
ბანიკი — ბოჰემიანსი 1-1
სლავია — სინოტი 0-1

სპარტა	8	6	0	2	16-6	18
ბოჰემიანსი	8	5	2	1	12-4	17
ბანიკი	8	4	2	2	12-9	14
ეიეკოვი	7	4	1	2	12-7	13
სლავია	8	4	1	3	15-12	13
ლიბერეცი	7	3	3	1	11-8	12
იაბლონეცი	8	3	3	2	9-7	12
სინოტი	8	3	3	2	7-6	12
ბლშანი	8	3	1	4	14-14	10
დრნოვიცე	8	3	1	4	11-11	10
ბრნო	8	2	4	2	9-9	10
პრ. კრალოვე	8	3	0	5	9-19	9
ტეპლიცე	8	2	2	4	9-13	8
პრეიბრამი	8	2	1	5	8-14	7
სიგმა	7	1	3	3	6-12	6
ობავა	7	0	1	6	6-15	1

ავსტრია

ბრეგენცი — ტიროლი 1-2
ზალცბურგი — შტურმი 0-2
კერნტენი — ადმირა 2-0
რაპიდი — რიდი 2-0
გრაცერი — აუსტრია 4-2

ტიროლი	10	8	2	0	28-1	26
შტურმი	11	7	3	1	22-8	24
გრაცერი	12	5	3	4	23-20	18
ზალცბურგი	12	4	4	4	11-12	16
რაპიდი	12	4	3	5	13-17	15
კერნტენი	11	4	3	4	11-16	15
აუსტრია	12	3	5	4	17-18	14
რიდი	12	2	6	4	18-20	12
ბრეგენცი	12	2	4	6	11-25	10
ადმირა	12	2	1	9	9-26	7

დანია

ბრონდბიუ — ვიბორგი 0-0
ლიუნგბიუ — ოდენსე 2-2
სილკებორგი — მიდტიულანდი 0-1
ვაილე — აკადემისკი 1-1
ოლბორგი — კოპენჰაგენი 1-1

ბრონდბიუ	9	7	1	1	26-3	22
ოლბორგი	9	6	1	2	16-11	19
აკადემისკი	9	3	4	2	13-10	13
მიდტიულანდი	9	3	4	2	7-6	13
ესბიერგი	8	4	1	3	10-13	13
კოპენჰაგენი	9	3	3	3	11-10	12
ლიუნგბიუ	9	2	6	1	11-10	12
ვიბორგი	9	2	4	3	9-10	10
ვაილე	9	2	4	3	12-16	10
ოდენსე	9	2	3	4	9-14	9
ორჰუსი	8	1	3	4	5-11	6
სილკებორგი	9	0	2	7	3-18	2

ფინეთი

ვაასა — ტამპერე 3-0
კუოპიო — ჯაზი 4-0
ჰაკა — ინტერი 1-2
იორკერიტი — ლაჰტი 0-1

ჰიკი	26	15	8	3	51-14	53
მიუმა	27	14	9	4	40-22	51
ტამპერე	26	14	5	7	36-31	47
ჰაკა	26	13	6	7	38-21	45
ინტერი	27	13	4	10	38-35	43
ატლანტისი	25	9	9	7	33-32	36
ლაჰტი	27	7	9	11	31-37	30
ვაასა	26	9	3	14	32-43	30
კუოპიო	26	6	8	12	22-34	26
იორკერიტი	27	7	5	15	27-45	26
როვანიემი	26	5	8	13	20-36	23
ჯაზი	27	5	8	14	26-44	23

უკრაინა

ვორსკლა — ზაკარპატიე 1-0
მეტალურგი (ზ) — პოლიგრაფტეხნიკა 0-0
მეტალისტი — ტავრია 4-1
კრივბასი — დინამო 0-7
მეტალურგი (დ) — დნეპრი 2-0
კარპატი — შახტარი 0-2
ცსკა — მეტალურგი (მ) 3-2

შახტარი	8	7	1	0	21-6	22
დინამო	8	6	2	0	22-3	20
მეტალურ. (დ)	10	5	3	2	16-6	18
კარპატი	11	5	3	3	14-14	18
მეტალისტი	10	5	2	3	17-17	17
დნეპრი	10	4	4	2	9-7	16
მეტალურ. (ზ)	10	4	3	3	10-7	15
მეტალურ. (მ)	11	3	3	5	10-14	12
კრივბასი	11	3	3	5	12-20	12
ტავრია	10	3	2	5	10-13	11
პოლიგრაფტექნ.	11	2	5	4	7-14	11
ზაკარპატიე	11	2	3	6	12-24	9
ცსკა	9	2	0	7	7-13	6
ვორსკლა	10	1	2	7	5-14	5

საბერძნეთი

ოლიმპიაკოსი — ირაკლისი 3-0
იონიკოსი — აეკ 1-2
აკრატიტოსი — ქსანთი 2-0
პანაჰაიკი — ეგალეო 5-3
პანიონიოსი — პანათინაიკოსი 2-2
ოფი — ეთნიკოსი 2-0
პაოკი — არისი 1-1

ოლიმპიაკოსი	1	1	0	0	3-0	3
პანაჰაიკი	1	1	0	0	5-3	3
აკრატიტოსი	1	1	0	0	2-0	3
ოფი	1	1	0	0	2-0	3
აეკი	1	1	0	0	2-1	3
პანათინაიკოსი	1	0	1	0	2-2	1
პანიონიოსი	1	0	1	0	2-2	1
პაოკი	1	0	1	0	1-1	1
არისი	1	0	1	0	1-1	1
იონიკოსი	1	0	0	1	1-2	0
ეგალეო	1	0	0	1	3-5	0
ქსანთი	1	0	0	1	0-2	0
ეთნიკოსი	1	0	0	1	0-2	0
ირაკლისი	1	0	0	1	0-3	0

თქვენთვის, ერუდიტებო!

1. ვინ იყო 1977 წელს სსრკ-ს საუკეთესო ფეხბურთელი:
ა) ყიფიანი
ბ) შენგელია
გ) ბლოხინი

2. რა ერქვა 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის თილისმას:
ა) ჯეკი
ბ) ვილი
გ) ტომი

3. რომელი გუნდის სპონსორია ფირმა „TOYOTA“:
ა) „ფიორენტინა“
ბ) „ვენეცია“
გ) „პიაჩენცა“

4. მსაჯის მოსყიდვის მცდელობისათვის რომელი გუნდი იქნა დისკვალიფიცირებული ჩემპიონთა ლიგის 1995-1996 წლების გათამაშებაში:
ა) ლეგია (პოლონეთი)
ბ) დინამო (კიევი)
გ) ჰაიდუკი (ხორვატია)

5. ვინ იყო 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაში რუსეთის ნაკრების მოთამაშე მწვრთნელი:
ა) რომანცევი
ბ) სადირინი
გ) მოროზოვი.

წინა ნომრის პასუხები:
1 — ბ, 2 — ა, 3 — ა, 4 — გ, 5 — ა.

XX საუკუნის დიდი ფეხბურთელები

ალფრედო დი სტეფანო:

გმადლობთ, მოხუცო!

ოქროს ქორნილი

ამგვარად, პირველად ვარ მადრიდში „რეალის“ „ოქროს ქორწილზე“. ეს სამეფო კლუბი დაარსდა 1902 წელს. ახლა 1952-ე მიდიოდა. საგანგებოდ ვემზადებოდით ორმოცდაათი წლისთავის ტურნირისათვის. რამდენიმე ქალაქში ტარდებოდა თამაშები და ნამდვილ ზეიმად იქცა.

„მილიონარიოსს“ პირველი შეხვედრა ვალენსიაში ჰქონდა თანამოსახელე კლუბთან, მაგრამ ჯერ მადრიდში გავისეირნეთ, ვიყავით კორიდაზე. დედაქალაქს ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, როგორსაც ახლა ახდენს იმავე ქუჩებსა და მოედნებზე გავლისას. მაშინ ქალაქი უფერული, ჯუჯა მომეჩვენა. თანამედროვე შენობები მოგვიანებით აღიმართა. „კორტე ინგლეს“ ცნობილი მაღაზიები სადად გამოიყურებოდა, თუმცა, ტურისტივით ვერ წაუველ ცდუნებას ამ ცნობილ ფირმაში რაღაც რომ არ შემეძინა და კოხტად შეკერილ კოსტიუმში გამოვედი იქიდან. ორიათასდოლარიანი დასტა, თან რომ მქონდა, გვარიანად შეთხელდა, მაგრამ ოდნავადაც არ მადარდებდა ეს. მას შემდეგ, რაც „მილიონარიოსში“ აღმოვჩნდი, თავი მილიონერი მეგონა და არაფერს ვიკლებდი.

ჩვენთვის ფეხბურთი „მეტროპოლიტანოს“ სტადიონზე ორი „ატლეტიკოს“ მატჩზე დასწრებით დაიწყო. დაუზოგავად თამაშობდნენ. შესაბამისი განწყობილება არც ჩვენ გვაწყენდა. ვალენსიაში საზეიმო დღეს მოგვიწია თამაში და ვითარება საზეიმო გუნებაზე გვაყენებდა. პირთამდე სავსე 50-ათასიანი სტადიონი, დროშები, სიმღერა, მუსიკა და დაფდაფი. ეგ იყო, რომ პენალტი არ მოგვცეს, რამაც გვარიანად მოგვშხამა. საჯარიმოში მცველმა დამცა ძირს, არბიტრმა ჩაბერა სასტვენს, მაგრამ, რატომღაც კორნერისკენ მიუთითა. მატჩი ასევე დამთავრდა „მშრალი“ ანგარიშით.

მეორე შეხვედრა წავაგეთ — 2-3 —„ლასპალმასთან“. ერთი გოლი გავიტანე, ეს თუ სასიხარულოა? მთავარი მოვლენები მადრიდში გველოდა. გამოვედით სათამაშოდ „ნორჩეპინგთან“, რომელსაც განსაცვიფრებელი ნორდალი ჰყავდა. მართლაც დიდებული იყო! მატჩი დამთავრდა 2-2, ბურთი არ გამიტანია. ვერაფრით გამოვიჩენდი თავს, პრაქტიკულად ეს გამორიცხული იყო: ორი „მეურვე“ არ მომცილებია წამით. და აი, ბოლოს ფინალი — „მილიონარიოსი“, „რეალ-მადრიდი“. ახალაგებული „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონი სავსეა, ესე იგი, 70 ათასი მაყურებელია. ვერ ვიტყვი, რომ ისინი გადაჭრით ჩვენს წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი, მაგრამ, როგორც შეეძლოთ მხარს უჭერდნენ თავისიანებს. მინდორი არ ვარგოდა, დათხრილი იყო, მთელი თამაშის განმავლობაში წვიმდა, მიწაზე ფეხს ვერ ვიკიდებდით. გაბრიელ ალონსომ კოჭის ზევით ქაცვები ჩამასო, ფეხი გასივდა და პამიდორივით გაწითლდა. არ გავბრაზებულვარ. მთავარი იყო, ჩვენ გავიმარჯვეთ (4-2), და ორი გოლი შევაგდე, მეორე, უბრალოდ, ზორბა იყო. მივიღე ტურნირის საუკეთესო მოთამაშის სპეციალური პრიზი. მიუხედავად იმისა, მერე „რეალმა“ სძლია შვედებს, პირველი ადგილი ჩვენ გვერგო სხვის ზეიმზე. გასახდელში ჩვენს მოსალოცად მოვიდა დონ სანტიაგო ბერნაბეუ. მე და როსის გვთხოვა წავყოლოდით „რადიო ნასიონალ“-ში. შეიძლებოდა მისთვის უარის თქმა?! ასე მოხდა „რეალ-მადრიდის“ მეპატრონის გაცნობა. გამოსათხოვარი მატჩი სევილიაში გვქონდა. კვლავ ძლიერ წვიმდა, ისე რომ, მგზავრობა მოგვიხდა მატარებლით და არა თვითმფრინავით. ჩემდა სასიხარულოდ, ვამბობდი, რომ თვითმფრინავს ვერ ვიტან. შედეგი — 1-1. ანგარიში მე გავხსენი, როსიმ კი პენალტი აიცილა. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდა. იმ შეხვედრაში ძალიან დაგვამახსოვრა „თავი“ ჰალვამ, რომლითაც სტუმართმოყვარე მასპინძლებმა უხვად დაგვასაჩუქრეს. მან თავგზა აუბნია ნიუ-იორკის აეროდრომის მებაჟეებს, შეფუთული ნუგბარი დაგვახსნევინეს და სათითაოდ ჩაგვაკბეჩინეს. კინაღამ ცუდად გავხდი. კოლუმბიაში დაბრუნებულს აზრადაც არ მომსვლია, რომ ასე მალე ესპანეთში აღმოვჩნდებოდი. ბოგოტას შევეგუე და მეგონა კარგა ხანს ვიქნებოდი იქ. ყველა ამბობდა, რომ ეს კონტრაქტი 54 წლამდეა, ოჯახის დაბინავებას ორი ქალიშვილის დაბადება დაემატა.

იმავე წლის ივლისში „რეალ-მადრიდმა“ ვალი დააბრუნა, ჩამოვიდა კოლუმბიაში. ესპანურ პრესაში უკვე დაიწერა „მილიონარიოსის“ ცენტრფორვარდის შეძენის დაინტერესების შესახებ. ეს სიახლე მეც გავიგე და უცებ გავიფიქრე: „რატომაც არა?...“ კოლუმბიის ფეხბურთში სიტუაცია შეიცვალა, და აქაც გაჩნდა ფინანსური პრობლემები, თუმცა იმ მდგომარეობამდე არ მისულა, არგენტინაში რომ იყო. ორმოცდაათი ათასი ინჩესის თვალწინ დავამარცხეთ „რეალი“. ანგარიში ოლსენმა გახსნა, მაგრამ საპასუხო გოლი მე გავიტანე, პედერნერამ კი — გამარჯვების 48 საათის შემდეგ — ახალი შეხვედრა და მას მადრიდელთა მორიგი გულისგატეხვა მოჰყვა — 0-1. შეგახსენებთ, რომ გოლი ბაეზმა შეაგდო. შემდეგ ორივე გუნდი გაემგზავრა ვენესუელის დედაქალაქში და სერია დაამთავრეს ფრედ — 1-1. ვინ გაიტანა ჩვენგან ბურთი, არ მახსოვს — ესე იგი, მე არა.

ხმებმა ესპანელების ჩემით დაინტერესებაზე ჩემში, უკვე გარკვეული ადგილი დაიკავა. და იმდენად, რომ არაფრად მივიჩნიე ტურნე ჩილეში და შინ დავეთხოვე, ჩემს მშობლებთან, სარასა და შვილებთან ერთად ვიზეიმეთ ქრისტეშობა. ახლოვდებოდა ახალი წელი და კოლუმბიაში დაბრუნება სულაც არ მინდოდა.

„რეალი“ – „ბარსა“

კოლუმბიაში ჩემი არყოფნა გაუჩინარებასავით აღიქვეს. იმასაც წერდნენ, რომ დი სტეფანო მოიტაცესო. სავარაუდო გამტაცებელთა შორის ასახელებდნენ... „ბარსელონას“ ხელმძღვანელობას. „მილიონარიოსის“ პრეზიდენტმა ალფონსო სენიორმა დათმო ქრისტეშობაცა და ჩილეში გამგზავრებაც, ჩამოვიდა ბუენოს-აირესში, მომნახა და ულტიმატური ფორმებით მომმართა დავბრუნებულიყავი. თუმცა ამან მხოლოდ გამაღიზიანა. დადებით შედეგს რომ ვერ მიაღწია „მილიონარიოსის“ ხელმძღვანელობამ დაიწყეს ლაპარაკი, რომ ტყუილად მიაბრჯენს, მას კლუბის ფული მართებს, წინასწარ რომ მიიღო კონტრაქტის გაგრძელებისას.

ფიფას მიმართეს მოთამაშის პრეტენდენტთა დასაშოშმინებლად, ვინაიდან მოქმედი კონტრაქტი მქონდა ჩემს კლუბთან.

რეაქციას არ დაუყოვნებია. ესპანეთის ფედერაციამ კოლუმბიის კოლეგებს გაუგზავნა ტელექსი, არწმუნებდა, რომ უსათანადო სატრანსფერო უდოკუმენტებოდ დი სტეფანოს გადასვლას არ დაამოწმებს.

მე კი საბოლოოდ გადავწყვიტე არ დავბრუნებულიყავი კოლუმბიაში. ავანსი, ოთხი ათასი დოლარი, რომელიც მივიღე კონტრაქტის გაგრძელებისას, წინა წლის ვალი იყო, მეტი არაფერი. მაშინ სწორედ ოთხი თვის ხელფასი დამაკლეს. „მილიონარიოსთან“ ცუდად დაშორება არ მინდოდა.

განვაცხადე, რომ აუცილებლად მჭირდება დასვენება, და რომ არგენტინაში დავრჩები, მშობლებთან, კონტრაქტის დამთავრებამდე.

1954 წლის ოქტომბრამდე წელიწადნახევარი რჩებოდა. სინამდვილეში ყველაფერი ბევრად უფრო ადრე წყდებოდა — 1954 წლის დაწყებიდანვე კვლავ „რივერის“ მოთამაშე ვიყავი.

ამ დროის განმავლობაში ესპანელებს ჩემდამი ინტერესი არ დაუკარგავთ. მშობლების სახლში პირველად „ბარსელონის“ წარგზავნილები გამოჩნდნენ. ცნობილი მოთამაშის, „ბარსას“ ხელმძღვანელობის წევრის სამატერის სალამი გადმოგვცეს, ესპანეთში შევხვდით და იგი მართლაც გამოჩენილი პიროვნება აღმოჩნდა. მისგან სალამი საპატიოა. მიწვევა!... მაგრამ თანხმობის მიცემის უფლება არ მქონდა. იგივე განვუმარტე ერინიო ერერას — ფეხბურთის ისტორიაში გამოჩენილი მწვრთნელის, მაშინდელი მადრიდის „ატლეტიკოს“ დამაარსებლის დესპანებს. ხმები კი ახალი დეტალებით ივსებოდა. ლაპარაკობდნენ, რომ „ბარსელონამ“ „მილიონარიოსის“ სალაროში დამატებითი თანხა შეიტანა და რომ „რეალ-მადრიდი“ ამ თანხის გადახურვას ჰპირდებოდა. ბუენოს-აირესში მოდიოდა წინადადებები ჩემი მისამართითაც. ბოლოს და ბოლოს, მამა დაჟინებით მთხოვდა: „რატომ არ გადაფრინდები ესპანეთში და არ მოელაპარაკები „ბარსას“ ან „რეალს“, „ხომ არ შემიძლია ჩემს თავს „ვუბრძანო“, ვეურჩებოდი მე. „ოჯახთან ერთად დასვენებას“ — მეუბნებოდნენ მშობლები. აი ასე, 1954 წლის 23 მაისს მე და სარა ორი ბავშვით მადრიდში ჩავფრინდით. სამიტიერი დაგვხვდა აეროპორტში.

ვიმეორებ, ხოსე (პეპე) სამიტიერი ფენომენური პიროვნებაა. სხვა არ მეგულება ასე რომ ცხოვრობდეს ფეხბურთით. იგი ჩვეულებრივ ლაპარაკიც ფეხბურთის ტერმინოლოგიას არ ივიწყებდა. „დარწმუნებული ვარ, დროზე მომცემ პასს წინ რომ გავიდე“, — ამბობდა იგი, და შენს მხარდაჭერას გულისხმობდა. ან: „შენ, ჩემო ძმაო, თამაშგარე ხარ“, — რაც იმას ნიშნავდა, რომ მართალი არა ვარ. ეს სიმპათიური სამიტიერი, ძალზე ცოცხალი და ძალზე უბრალოა.

იგი ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მაქსიმალურად მალე გადავსულიყავით — უპრობლემოდ. მაგრამ ყველაფერი მასზე არ იყო დამოკიდებული. ფედერაციამ საკმაოდ ცივად მიგვიღო, და როცა ბარსელონაში ჩავედით, ერთიანად გვესმოდა: „მოითმინეთ“. ეს ლოდინი და ბარსელონის უჩვეულოდ ტენიანი ჰავა ენთუზიაზმს როდი გვმატებდა. ასე გადიოდა თვეები — ივნისი, ივლისი. არავითარი პასუხი. ვარჯიშის საშუალებას არ მაძლევდნენ არც კლუბში, არც რომელიმე პროფესიულ მინდორზე. მომბეზრდა, და ვთქვი: „ვყიდულობ ბილეთს და ბუენოს-აირესში ვბრუნდები“. თუმცა კარგად მესმოდა, რომ „ბარსა“ დამნაშავე არ არის, ის გვიხდიდა საცხოვრებელსა და ჯიბის ფულიც მომცა.

უნებურად, ჩემი ყურადღება გადაირთო „რეალზე“. გაზეთები წერდა, რომ მადრიდელები უფრო იღბლიანები არიან „მილიონარიოსთან“ მოლაპარაკებაში, ჩემთვის კი საბოლოო ანგარიშით არც ისე მნიშვნელოვანი იყო ვისი მაესურით ვითამაშებდი, ოღონდ მინდორზე გავსულიყავი და რაც შეიძლებოდა მალე. სიცხადის შეტანა მინდოდა, დალაპარაკებულ ადგილებზე ჩემი ადგილი ბოლოს ეშმაკმა. როდემდე უნდა დავმჭკნარიყავი ამ უაზრო სიცხეში?



1958 წ. მადრიდის „რეალი“. დგანან მარცხნიდან: ალონსო, მარგუიტოში, სანტამარია, ლესმოსი, სანსებასტიანი, რუიზი, სხედან — კოპა, მარშალი, დი სტეფანო, რიალი, ჰენტო (ფოტო „ლელოს“ არქივიდან)

და აი, ერთხელ, ბარსელონაში რაიმუნდო საპორტა გამოჩნდა. იგი „რეალ-მადრიდის“ ვიცე-პრეზიდენტი მაშინ არ ყოფილა, მაგრამ სანტიაგო ბარნაბეუს მარჯვენა ხელად ითვლებოდა და, რასაკვირველია, ლოგიკური იყო, რომ მისი მემკვიდრე გახდა. მასთან შეხვედრა, რა თქმა უნდა, საიდუმლო ვითარებაში შედგა, გამაცნეს მადრიდელთა გეგმა და მოქმედება. ვიდრე „ბარსას“ მოლაპარაკება ჰქონდა „რივერასთან“, რომლის ფორმალურ საკუთრებას წარმოვადგენდი 1954 წლიდან, საწინდარიც შეიტანა, „რეალმა“ კონტაქტი დაამყარა „მილიონარიოსის“ პრეზიდენტ ალფონსო სენიორთან. რაიმუნდო „ბარსას“ მიერ უარყოფილ პირობაზე დასთანხმდა, „რეალმა“ ბოლოვიელებს 27 ათასი დოლარი გადაუხადა და დამეპატრონა სამხრეთამერიკული კონტრაქტის ვადის გასვლამდე. გამოვიდა, რომ „ბარსელონამ“ მე მიყიდა „რივერასაგან“, ხოლო „რეალმა“ — „მილიონარიოსისაგან“. მგზავრად, მე „რეალის“ მოთამაშედ ვიქეცი.

მესამე ტაიმი

ამით ჩემი უბედურებები არ დამთავრებულა. ესპანეთის ფედერაციამ მოელაპარაკა ფიფას, და მან დაუდასტურა, რომ დი სტეფანოს თამაშის ნებას არ დართავს, ვიდრე „ბარსელონა“ და „რეალ-მადრიდი“ სრულ თანხმობამდე არ მივლენ. ფიფამ კი დანიშნა შუამავალი — არმანდო მუნოოს კალერო. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი. მან კომპრომისული ვარიანტი წარმოადგინა: ორი სეზონი „რეალში“ უნდა ვყოფილიყავი იმ ვალდებულებით, რომ მომდევნო ორი სეზონი „ბარსელონას“ ვკუთნებოდი. დიდი ფიქრი არ იყო საჭირო: 24 აგვისტოდან ესპანეთის უმაღლესი სპორტული საბჭო უცხოელ ფეხბურთელთათვის ჰკეტავდა საზღვარს და „ბარსელონას“ პრეზიდენტი ენრიკე მარტინ თანხმობა განაცხადა. დიდი ამბავი: რა არის ახლა მათთვის დი სტეფანო? „ბარსას“ შერჩეული ჰყავდა დიდებული მოთამაშეები და ზედიზედ იმარჯვებდა. 45 ათასიანი სტადიონი ბოლომდე ივსებოდა. შეტევის ცენტრში კუბალა ჰყავდათ და ჩემს გამოჩენას არასასურველი გადაადგილებებს უკავშირებდნენ. მეორეს მხრივ ლაპარაკობდნენ, რომ მას პრობლემები ჰქონდა ფილტვებთან დაკავშირებით, და, თუ დი სტეფანო უფრო გვიან მოვა გუნდში, ეს, „ბარსას“ ხელს უფრო მისცემს. მაგრამ ავი ენები გაკილვით ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ „ბარსელონის“ პრეზიდენტს გარკვეული პირადი ფინანსური პრობლემები აქვს მის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით და, რომ რეალელმა მეტოქეებმა აიძულეს მუქარით, გამოგამეღავნებთო, აიძულეს იგი გავეშვი. ასე თუ ისე, მე კი ბოლოს და ბოლოს მითხრეს „შენი საკითხი მოგვარებულია. გაემგზავრე მადრიდში“. საღამოს ათ საათზე ჩავჯექი მატარებელში, დილით თერთმეტის ნახევარზე მადრიდის ვოგზალზე დამხვდნენ. იქვე გამაგზავნეს სამედიცინო გასინჯვაზე, ოთხის ნახევარზე, ვარჯიშიც ვერ მოვასწარი, პირდაპირ მინდორზე — ფრანგულ კლუბ „ნანსისთან“ თამაშში წარმადგინეს, როგორც სამეფო კლუბის მოთამაშე.

მაშინ ოცდაექვსი წლის ვიყავი. ორი სეზონი მადრიდში და ორიც — ბარსელონაში, გამოდიოდა, რომ ჩვენ სარასთან ერთად ესპანეთში ოთხი წელიწადი უნდა გვეცხოვრა. როგორც ჩავთვალეთ, ეს ძალიან ბევრი გამოდიოდა. იდეალური იქნებოდა კონტრაქტზე ორი წლით მომეწერა ხელი. გავიდა ორი წელიწადი, და კონტრაქტში დაზუსტება შეიტანეს. ბარსელონამ უარი თქვა ჩემზე. „რეალმა“ მეტოქეს გადაუხადა ჩემზე დახარჯული თანხა პლიუს ეგრეთ წოდებული სატრანსფერო „ინტერესები“ და მთელი ოთხი წლით მოიბოვა უფლებები ჩემზე. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენოდა, რომ მადრიდში გვეშოვა სახლი სამუდამო საცხოვრებლად.

ადაპტაცია

მაგრამ დავუბრუნდები მადრიდული ეპოქეის პირველ დღეს — 23 სექტემბერს. მინდოდა მეთქვა: „Veni, Vidi, Vici“ („მივედი, ვნახე, დავამარცხე“), მაგრამ დავმარცხდით — 2-4. „ნანსი“ შესანიშნავი გუნდია. იქ თამაშობდნენ ტაკოროონტე, პიანტონი და „ტოტო“ ლორენსო, ჩემი ძველი ნაცნობი „ბოკა ხუნიორსიდან“, მერე „ატლეტიკო-მადრიდს“ წვრთნიდა. ძირითადი გუნდი არა გვყოლია, როგორც ზოგჯერ ხდება არასავალდებულო მატჩებში. ყოველად უვარჯიშებელი გამოვედი. თუმცა, როგორღაც მოლოდინი გავამართლე, ორიდან ერთი გოლი გავიტანე, თანაც, თავით. ეს ოთხშაბათს იყო, კვირას კი გაიმართა დებიუტი ესპანურ ლიგაში, „სანტდანდერის“ წინააღმდეგ. უფრო ძლიერი შემადგენლობა გვყავდა. მინ ვთამაშობდით, „ბერნაბეუზე“, ესე იგი, გზაში ძალა არ უნდა დაგვეხარჯა. ჩემთვის, ჩვეული კალაპოტიდან ამოვარდნილისათვის და მომატებულს წონაში (78,900 კგ ვიყავი 73-ის ნაცვლად), ყველაფერს მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა იმისა, რომ არ ვიცნობდი პარტნიორებსა და მეტოქეს, გასათვალისწინებელი იყო ისიც, თუ რას ფიქრობდნენ ჩემზე. ერთი სიტყვით, სიტუაცია იყო? — ნუ იტყვით! საბედნიეროდ, გავიმარჯვეთ — 4-1, და კვლავ გამოვირჩიეოდი თავით გატანილი გოლით. მაშინ ყველა იმ აზრისა იყო, რომ ამერიკაში უფრო ტექნიკური ფეხბურთია, ევროპაში კი გაცილებით სწრაფი. ჩემს თავს ამას არ მივაკუთვნებდი, ვინაიდან ჩემს უმთავრეს ღირსებად სასწრაფე მიმაჩნდა. მაგრამ აუცილებელი იყო პარტნიორებთან ურთიერთობა. ფეხბურთი ხომ კოლექტიური თამაშია, და მის საფუძველს ურთიერთმოქმედება წარმოადგენს, ეს კი, ვარჯიშებზეც კი არა, ყოფაში ურთიერთობით მოდის. ერთს გამოველაპარაკე, მეორეს ვაკვირდებოდი, შესაძლებელ სხვებისგან გავიგე. ასე ჩნდება ურთიერთგაგება, ვინ რითი სუნთქავს, რა უყვარს, მარტო თამაშში კი არა, ცხოვრებაშიც, როგორ უყურებს ხუმრობას, როგორი ჩვეულება აქვს. მოთამაშის ხასიათი მისი თამაშის ხასიათში ვლინდება. ერთი სიტყვით, საჭირო იყო ადაპტაცია, ამას კი დრო უნდოდა.

მოვედი ცნობილ, სახელოვან გუნდში, მაგრამ რამდენიმე წელი არაფერი რომ მოუგია. მისი დიდება ესპანეთის სამოქალაქო ომამდე პერიოდისა იყო. წარმოიდგინეთ: 1933 წლიდან 1954 წლამდე, არც ერთი საჩემპიონო ტიტული! მე სულ სხვაა რამ მაფიქრებდა. ის, რომ იგი სატანტო ქალაქის გუნდია, შესანიშნავი სტადიონით კლუბი პრესტიჟულია, რომელშიც ბევრი დიდებული ფეხბურთელი თამაშობდა. ეს გვავალდებულებდა, რომ დაგვებრუნებინა უწინდელი პოზიციები. იმიტომ იბრძოდნენ ჩემთვის, რომ ამ დაბრუნებაში მთავარი როლი შემესრულებინა, და იმიტომ კი არ დავთანხმებულვარ, ბევრი ფული რომ მეშოვნა, არამედ ერთობლივად გადაგვეწყვიტა ამოცანა — კვლავ ტრიუმფატორი გუნდი გავმხდარიყავით.

ჩემთვის ყოველთვის მეორე პლანზე იყო ფული, და ალბათ, ეს ყველაზე სერიოზული ჩემი ცდომილებაა. ჩემს გვერდით არასოდეს მდგარა თანაშემწე, როგორც ახლა ამბობენ. მენეჯერი, ან ვინმე მისნაირი. ამიტომ ჩემი მოტყუება ადვილი იყო, რითაც ზოგიერთი სარგებლობდა გვარიანად. და მაინც: რა გვაქვს საბოლოოდ? ორი წლით ჩამოვედი ესპანეთში, ოთხწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი და თითქმის ათი წლით ვრჩები აქ. ისე რომ, თუ ხანდახან ვწუწუნებ, სულაც არ ნიშნავს ბედის უმადურობას. თუმცა, გულახდილად, ზოგჯერ ვფიქრობ, რა მივეცი ფეხბურთს მეტი, ვიდრე მივიღე მისგან. იმიტომ კი არა, რომ პატივმოყვარე ვარ, გამოგიტყდებით, მეგაირახტრის როლი ჩემთვის არაა დაწერილი. რა თქმა უნდა, ტიტულები სულს მითბობდა, მაგრამ მათზე ხარკი არ დამიდვია, კოზირად არ გამომიყენებია კეთილდღეობის მისაღწევად, რაც მერგებოდა, ის მყოფნიდა, არასოდეს მიმიღწევია მეტისთვის კონტრაქტს რომ ვაწერდი ხელს. კვლავ გავიმეორებ, ფეხბურთი კოლექტიური საქმეა, და შენი ღირსების წინ გამოშვერა არაა საჭირო. დე, იგი სხვებმა შეაფასონ. და, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდ სიამოვნებას პერსონალურად ვიღებდი მაყურებლის აღიარებისა და ფეხბურთის მოყვარულებისაგან. დიდი მადლობა მათ!

მეტს აღარ გადავუხვევ. წინ, ავტობუსში ან ვაგონში. ჩემდა საბედნიეროდ, თვითმფრინავებით თითქმის აღარ ვსარგებლობდით, იმიტომაც საკუთარი განგრიგიდან რომ არ ამოვვარდნილიყავით. გასვლით მატჩებზე პარასკევობით ჩავდიოდით. საძინებელ ვაგონში ვასწრებდით დასვენებას. მსუბუქ რეკვასა და თვლების კაკუნს ადვილად ეგუები. განწყობილებაზე ყველაზე მეტად მინდვრის მდგომარეობა მოქმედებდა. „ბერნაბეუ“ — კონკურსგარეშე იყო, დანარჩენი სტადიონები კი მაგონებდა ძველებურს, არგენტინულს. ამასთან, სიტუაცია უცებ უკეთესობისკენ იცვლებოდა. მახსოვს, მალე ააშენეს „კამპ ნოუ“ ბარსელონაში — „სანტიაგო ბერნაბეუს“ რამდენჯერმე გაუკეთდა რეკონსტრუქცია. ზრდიან ადგილების რაოდენობას, მეტ ხალხს იზიდავენ, მეტ მნიშვნელოვან გამარჯვებას აღწევენ, მეტ ფულს აბანდებენ რეკონსტრუქციაში.

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. „ლელო“ №72-74

ნაგების შეჯთხვევაში — 600 ათასი დოლარი!

12 ოქტომბრიდან თვის ბოლომდე პატარა კუნძულოვანი სახელმწიფო ბაჰრეინის დედაქალაქი მანამა მთელი საჭადრაკო სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცევა. აქ გაიმართება 8 პარტიისაგან შემდგარი მატჩი მსოფლიო ჩემპიონ ვლადიმირ კრამნიკსა (რუსეთი) და უძლიერეს კომპიუტერ „დიპ ფრიცს" შორის.

როგორც მისმა სპონსორმა, ბაჰრეინის ემირმა ჰანად ბინ ისა ალ-ჰალეიფამ განაცხადა, მატჩის ნებისმიერი ანგარიშით თუ შედეგით დასრულების შემთხვევაში კრამნიკი უკმაყოფილო არ დარჩება. თუ იგი მოიგებს, მილიონ დოლარს მიიღებს, მატჩის ყაიმით დამთავრებისას კი 800 ათას დოლარს. თუკი, ვთქვათ, მსოფლიო ჩემპიონი დამარცხდა, მაშინ მას არავინ აწყენინებს — 600 ათასი დოლარი გადაეცემა.

ყველას ახსოვს, რომ 1997 წელს სუპერკომპიუტერმა „დიპ ბლიუმ" დაამარცხა მაშინდელი მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი. კასპაროვი, მართალია, განაწყენდა, მაგრამ იძულებული გახდა ეღიარებინა „დიპ ბლიუს" განსაკუთრებული ძალა. ეს მონსტრი 1,4 ტონას იწონიდა, ორი მეტრის სიმაღლის, მთელი ოთახი ეკავა და ოცი კაცი ემსახურებოდა. ახალი სუპერკომპიუტერი „დიპ ფრიცი" მასთან შედარებით მინიატურულია, ისეთი ძლავრი არ არის, მაგრამ, როგორც მისი ერთ-ერთი შემქმნელი ფრედერიკ ფრიდელი თვლის, საჭადრაკო ძალა „დიპ ბლიუზე" ნაკლები არა აქვს.

როცა მის პროგრამისტს ფრანც მორშს ჰკითხეს, რითი გამოირჩევა ეს ახალი სუპერკომპიუტერი ადრინდელებისაგან, მან თქვა, რომ „დიპ ფრიც-7"-ს აქვს უნარი ებრძოლოს ანტიკომპიუტერულ სტრატეგიას და ამასთან ერთად, საკუთარ შეცდომებზეც სწავლობს!

იმის გამო, რომ ადამიანი მანქანა არ არის და იღლება, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ადრინდელი მატჩებისგან განსხვავებით, 60 სვლის შემდეგ პარტიის გადადების შესახებ.

ვლადიმირ კრამნიკმა განაცხადა, რომ ძალიან უნდა ამ ორთაბრძოლის მოგება. საქმე ის არის, რომ მას შემდეგ, რაც 1997 წელს „დიპ ბლიუმ" სრულიად დამაჯერებლად დაამარცხა კასპაროვი, ჭადრაკის მოყვარულებს შეექმნათ შთაბეჭდილება — მანქანა ყველაზე ძლიერ ადამიანზე უკეთესად თამაშობს. ეს კრამნიკის აზრით, ასე არ არის.

— მინდა დავამტკიცო, რომ მანქანა სულაც არ გახლავთ უძლეველი.

მსოფლიო ჩემპიონმა ხაზი გაუსვა მანქანის ღირსებებს. იგი არასოდეს იღლება, არ იცის, რა არის დისკომფორტი, არც ღელავს და ერთ წამში ორ მილიონამდე შესაძლებელ სვლას აკონტროლებს. ამასთან, მსოფლიო ჩემპიონმა კომპიუტერის ნაკლიც აღნიშნა:

— მას არა აქვს მოქნილი აზროვნება. ყოველთვის სად შემიძლია ყველა შესაძლებლობის გათვლა, მაგრამ სწორ სვლას ვაკეთებ, იმიტომ, რომ ვგრძნობ, სწორედ ეს არის სწორი სვლა. ამის მიუხედავად, კომპიუტერთან თამაში გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე, ვთქვათ, ჩვეულებრივი მატჩის ჩატარება. საქმე ის არის, რომ შენ წინასწარ არასოდეს იცი, კომპიუტერი რა გაგრძელებას აირჩევს. როცა ადამიანის წინააღმდეგ თამაშობ, იცი, როგორ უნდა მოემზადო. ამასთან, განა ვინმესთვის არის ცნობილი, როგორ უნდა მოემზადო სათამაშოდ მანქანის წინააღმდეგ?

ყოველივე ამ სიძნელეების მიუხედავად, კრამნიკი მაინც იძლევა იმედს დაიცვას „ადამიანის ღირსება", მით უმეტეს, რომ კომპიუტერთან თამაშის გამოცდილება მას უკვე აქვს. შარშან დორტმუნდში დამარცხა „ფრიცი", თუმცა იგი ახლანდელთან შედარებით უფრო სუსტი იყო. როგორც მიმომხილველებმა აღნიშნეს, კრამნიკმა „ანტიკომპიუტერული სტრატეგიის ბრწყინვალე ნიმუშები გვიჩვენა".

„დიპ ფრიცთან" შეხვედრისათვის მზადება კრამნიკმა თურმე 1 აგვისტოს დაიწყო. ეს თვე მან, საკუთარი განცხადებით, „ექსპერიმენტებს დაუთმო", შემდეგ კი სამატჩო სტრატეგია დაეგეგმა. რახან მომზადებას დიდი დრო მოუნდა, კრამნიკმა ამ ხნის განმავლობაში ყოველგვარი შეჯიბრებებისგან თავი შეიკავა.

განთქმულმა ინგლისელმა დიდოსტატმა ნაიჯელ შორტმა, რომელიც მომავალი მატჩის თავისებურებებს შეეხო, განაცხადა, რომ „ადამიანის შეხვედრა კომპიუტერთან უდიდეს ინტერესს კი იწვევს, მაგრამ იმავე კომპიუტერის დაშვება საერთაშორისო ტურნირებში, როგორც ეს ზოგჯერ ხდება (ვთქვათ 11 დიდოსტატი თამაშობს, მეთორმეტე კი კომპიუტერია), სერიოზული შეცდომაა. განა ვინმე აიძულებს სპრინტერს 100 მეტრი მანქანებთან ერთად ირბინონ, ანდა, ძალოსნები ამწეს შეეჯიბრონ".

მატჩი ბაჰრეინში კრამნიკსა და კასპაროვის თავისებური დაუსწრებელი შეჯიბრებაც იქნება. ხომ ვერ სძლია კასპაროვმა კომპიუტერს, იქნებ ახლა იგი კრმანიკმა დაამარცხოს.

ბიჟი გამრეკელი

პროგრამაში შეიზანეს ინვალიდების ტურნირი

ავსტრალიის 2002 წლის ღია ჩემპიონატი „დიდი მუზარადის" პირველი შეჯიბრება იქნება, რომლის პროგრამასაც ინვალიდების ტურნირი დაუმატეს.

შეჯიბრებაში, რომელიც სამ დღეს გაგრძელდება, ჩაებმება შეზღუდული შესაძლებლობების 16 სპორტსმენი, მათ შორის სიდნეის პარაოლიმპიური თამაშების ოქროს მედალოსანი დევიდ ჰალი (ავსტრალია)

ვაქთა რეიტინგი [ATP]

გუშინ პროფესიონალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ასოციაციამ გამოაქვეყნა ვაქთა ახალი რეიტინგი. საგულისხმოა, რომ პირველ ოცეულში ცვლილება არ მომხდარა, მხოლოდ ქულები წაიმატეს ჩოგბურთელებმა, რაც გადასაწყვეტლად არ აღმოჩნდა საკმარისი. ათეული ასე გამოიყურება:



1(1) კუერტენი (ბრაზილია) — 775 ქულა;
2(2) აგასი (აშშ) — 683;
3(3) ჰიუიტი (ავსტრალია) — 635;
4(4) რაფტერი (ავსტრალია) — 557;
5(5) ფერერო (ესპანეთი) — 552;
6(6) კაფელნიკოვი (რუსეთი) — 400;
7(7) სამპრასი (აშშ) — 363;
8(8) გროენენი (საფრანგეთი) — 360;
9(9) ჰენმენი (დიდი ბრიტ) — 352;
10(10) ფედერერი (შვეიცარია) — 324.

ზურაბ სახელაშვილი



ქართველმა საზოგადოებამ კიდევ ერთი შესანიშნავი პიროვნება დაკარგა. გარდაიცვალა საქართველოსა და უოფილ საბჭოთა კავშირში სპორტის ახალი სახეობის — შორეული სპორტული ნაოსნობის ერთ-ერთი ფუძემდებელი და პირველი სპორტის ოსტატი, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ სახელაშვილი.

დაიბადა თბილისში 1930 წელს. ბავშვობიდანვე ცურვით იყო გატაცებული, თუმცა სპორტის სხვა სახეობებშიც მოსინჯა თავისი ძალა და უკვე თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი უნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდშიც ჩარიცხეს.

ახლობლებისათვის დაუვიწყარია მისი სიკეთე და კეთილშობილება, ხოლო მეგობრების, ამხანაგების, კოლეგებისა და თანაგუნდელებისათვის ისეთი თავგანწირვა, როგორც მას შეეძლო, მართლაც რომ იშვიათი და სამაგალითოა.

1971 წლიდან, მას შემდეგ, რაც თბილისის ზღვაზე „დოსაააფის" საზღვაო კლუბში ნიჩბოსნობისა და შორეული სპორტული ნაოსნობის ეკიპაჟი, „ამირანი" შეიქმნა ზურაბ სახელაშვილისა და მისი მეგობრების თაოსნობით, უოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაიწყო ურთულესი, უმაღლესი კატეგორიის სპორტული გადასვლები მცირე წყალწყვისა და რეზინის გასაბერი ნავებით.

1971 წლიდან მოყოლებული „ამირანის" ეკიპაჟმა, რომლის სული და გული ზურაბ სახელაშვილი იყო, მარშრუტით „დიდი კავკასიური წრე" მოაწყო შორეული სპორტული გადასვლა: თბილისი — ბაკო — ასტრახანი — სტალინგრადი — ვოლგა-დონის არხი — როსტოვი — ქერჩი — ნოვოროსიისკი — ბათუმი და გაცურა 3500 კმ.

მნიშვნელოვანი იყო მარშრუტები: ბათუმი — ნოვოროსიისკი — ქერჩი — აზოვის ზღვა — ვოლგა-დონის არხი — ციმლიანსკის წყალსაცავი — სტალინგრადი — კუიბიშევი — მოსკოვი — ლენინგრადი, სმოლენსკი — ოდესა დნეპრსა და შავ ზღვაზე, მაგრამ ზურაბ სახელაშვილისთვის დაუვიწყარი და უმნიშვნელოვანესი იყო „ამირანის" ეკიპაჟის მიერ რეზინის გასაბერი ნავებით შესრულებული გადაცურვა ციმბირის უდიდეს მდინარე ენისეზე, რომელიც დღემდე განუმეორებელ და უნიკალურ რეკორდად ითვლება. შუშენსკოედან კუნძულ დიქსონამდე ზურაბ სახელაშვილმა თავის მეგობრებთან ერთად გაცურა მდ. ენისეი, რომლის გავლაზეც საკრეისერო იახტებიც კი უარს აცხადებდნენ აქ არსებული ურთულესი მონაკვეთების გამო. ზურაბ სახელაშვილს თავისი სპორტული მოღვაწეობის მანძილზე 50 ათას კმ-ზე მეტი აქვს გავლილი და სწორედ მისმა დაუდგრომელმა ხასიათმა, უსაზღვრო ენერგიამ და ენთუზიაზმმა, გასაოცარმა იუმორმა და ხელმარჯვეობამ გადაწყვიტა და განსაზღვრა იმ გმირული ეპოპეის წარმატება, რაც შორეული სპორტული ნაოსნობის ეკიპაჟმა „ამირანმა" განახორციელა.

შორეულ სპორტულ ნაოსნობაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისა და რეკორდული გადასვლებისათვის, 1974 წელს, ზურაბ სახელაშვილს თავის ოთხ მეგობართან ერთად, საბჭოთა კავშირში პირველს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება.

ზურაბ სახელაშვილი კარგი სპორტსმენობის გარდა, შესანიშნავი მკვლევარი და მეცნიერი იყო. სპეციალობით გეოლოგი, იგი, ქართული გეოლოგიური სკოლის კორიფეების, აკადემიკოსების: ალექსანდრე ჯანელიძის, ივანე კაჭარავას, პეტრე გამყრელიძის, ივანე კახაძის, არჩილ ცაგარელის, მიხეილ ერისთავის აღზრდილი და მათი საქმის ღირსეული გამგრძელებელი იყო.

ზურაბ სახელაშვილის უდიდესი ღვაწლი უკვდავია, იგი თაობებს გადაეცემა სამაგალითოდ.

მშვიდობით ძვირფასო ძმაო და მეგობარო! მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა!

„ამირანის" ეკიპაჟი: ვახტანგ ანანიაშვილი, ივანე ჯაფარიძე, ვაჟა გელეიშვილი, ნიკა ენუქიძე, ნოდარ რჩეულიშვილი, ბურამ სახელაშვილი, ჯიმშერ ძრისტესაშვილი.

შპს თბილისის სპორტის სასახლის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, ქართული ფეხბურთის კორიფის, სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული ფეხბურთელის, საშობლოს ღირსეული შვილის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის

დავით ყიფიანის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის ცენტრის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ლეგენდარული ფეხბურთელის

დავით ყიფიანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

25 სექტემბერი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ჩვენი ფეხბურთი (22.05), *რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგა: „დეპორტივო" — „მანჩესტერი", მიმოხილვა (2.00), *ევროკა.* „მსოფლიო სპორტი" (10.45, 21.45). *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (20.05). *HTB.* ჩემპიონთა ლიგა: დდიური (2.15), „დეპორტივო" — „მანჩესტერი" (3.00). *ESPN.* ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (11.00). „საუთჰემპტონი" — „ასტონ ვილა" (04.30), ჩემპიონთა ლიგა: „ბაიერი" — „ბარსელონა" (23.30, პირდაპირი). „დეპორტივო" — „მანჩესტერი" (02.00). *EUROSPORT.* რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (13.00, 17.00), ფეხბურთი: ევროგოლები (15.00), 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების მიმოხილვა (23.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.00). *HTB პლუს ფუთბალ.* ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (15.00), გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.50), ჩემპიონთა ლიგა: „სპარტა" — „ფეიენოორდი" (23.40), „ბაიერი" — „ბარსელონა" (1.35), *HTB პლუს სპორტ.* „დიდი რინგი" (15.10), ჩოგბურთი. დევისის თასი (17.25), „ბილიარდის მეფეები" (22.35).

26 სექტემბერი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. ჩემპიონთა ლიგა: „ეინდჰოვენი" — „ლაციო" (23.40), მიმოხილვა (2.00). *ევროკა.* „მსოფლიო სპორტი" (10.45, 22.30), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (14.40, 20.00). *HTB.* ჩემპიონთა ლიგა: მიმოხილვა (2.35), „ლივერპული" — კიევის „დინამო" (3.20). *ESPN.* ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (09.30), ჩემპიონთა ლიგა. „ბაიერი" — „ბარსელონა" (11.30), „დეპორტივო" — „მანჩესტერი" (15.00), ინგლისის ჩემპიონატი (20.30). ჩემპიონთა ლიგა: „ლივერპული" — კიევის „დინამო" (23.30), „პანათინაიკოსი" — „არსენალი" (02.00). *EUROSPORT.* ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტრეკზე რბოლაში (13.00, 23.00), ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი (16.00), სამთო ველორბოლა. მსოფლიო თასი (17.00). *HTB პლუს ფუთბალ.* ჩემპიონთა ლიგა: „სპარტაკი" — „ბავარია" (13.15), „სპარტა" — „ფეიენოორდი" (15.30), „ბაიერი" — „ბარსელონა (17.15), „დეპორტივო" — „მანჩესტერი" (19.15), „ლივერპული" — კიევის „დინამო" (23.40), „რეალი" — „ანდერლეხტი" (1.35). *HTB პლუს სპორტ.* ჩოგბურთი. დევისის თასი. მიმოხილვა (12.05), ნახევარფინალი (17.25), „ბილიარდის მეფეები" (15.10), ფარიკაობა. მსოფლიო თასის ეტაპი (22.30).

27 სექტემბერი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ფეხბურთი. 17-წლიანთა მსოფლიო ჩემპიონატი. ნახევარფინალი (1.25, 4.30), *რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (15.20). *ევროკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 21.30). *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (14.25), *ESPN.* ჩემპიონთა ლიგა: „ლივერპული" — კიევის „დინამო" (11.30). „პანათინაიკოსი" — „არსენალი" (20.30), ინგლისის ჩემპიონატი „საუთჰემპტონი" — „ასტონ ვილა" (15.00). მსოფლიო თასის მიმოხილვა (20.00, 05.00). *EUROSPORT.* ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი (12.30). ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტრეკზე რბოლაში (23.00), ფეხბურთი. უეფას თასი (1.45). *HTB პლუს ფუთბალ.* ჩემპიონთა ლიგა: „რომა" — „ლოკომოტივი" (13.15). „ლივერპული" — კიევის „დინამო" (15.15). „რეალი" — „ანდერლეხტი" (17.00), პსვ — „ლაციო" (19.20), მიმოხილვა (23.00. გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (0.20). *HTB პლუს სპორტ.* ჩოგბურთი. ტაშკენტის საერთაშორისო ტურნირი (11.45), ტაილანდური კრივი (12.40), ბრძოლა წესების გარეშე (1.15).



კროსვორდი №75

თარაზულად: 7. იაზონის გემი, 8. ქართული წარმოშობის ფალავანი, მოსკოვის ერთ-ერთი საფეხბურთო კლუბის თავკაცი, 9. წარსულში ცნობილი ქართველი მოჭადრაკე ქალი, 11. ფეხბურთში რუმინეთის ნაკრებისა და „ვალენსიის" თავდამსხმელი, 12. ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ფეხბურთში 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, 13. თეატრში სპექტაკლის დაწყებამდე მაყურებელთა თავშეყრის ადგილი, 15. მძლეოსნობაში მხტომელთა ერთ-ერთი სექტორი, 17. აღმოსავლურ ორთაბრძოლების მასწავლებელი, 19. ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელთა მწვრთნელი, 20. ხალხური ცხენოსნურიი თამაშობა.

შვეულად: 1. ჩეხეთის საფეხბ. კლუბი, 2. გერმანიის ნაკრებისა და „ბაიერნის" ფეხბურთელი, 3. დიდი ბრძოლა ანუ... 4. ბრაზილიის ვეტერანი ფეხბურთელი მს. ჩემპიონი, 5. წყლის ან სხვა სითხის დიდი ზომის მოსაკავებელი, 6. სპორტის სახეობა, 8. ცნობილი წყალბურთელებით განთქმული ქართული გვარი (მოსკოვი), 9. წარსულში ცნობილი მძლეოსანი ქალი, 10. ცნობილი ილეთი ჭიდაობაში, 13. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი, 14. ილეთი ანუ... 16. „ჩელსის" ფეხბურთელი, 18. გაფრთხილება ძიუდოში.

კროსვორდი №74 ● პასუხები:

თარაზულად: 7. ფიგურა, 8. „სარაგოსა", 11. ნოა, 12. ჭიკვეიშვილი, 14 ფლო, 15 სო, 16. ანი, 17. ბაზალეთი, 20. ტრაპატონი, 22. ირვინი, 23. ანრი. **შვეულად:** 1. აფი, 2. ტური, 3. ფანდი, 4. ისა, 5. ტატიშვილი, 6. ბა, 9. კორდობა, 10. კლინსმანი, 13. ბრაზილია, 18. „თორი", 19. კიი, 21. პია.

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი



შამათი 2 სვლაში

წინა ნომრის ამოცანის ამოხსნა:
1. g:a5! მფc2 2. ეc5+ მფb1.
3. კc4 მფc1 4. კa2X.

მთავარი რედაქტორი ოთენგიზ ბაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX ● „ლელოს" კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.